რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 10 ივნისი 1917 წ.

# ერთობა

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელ.

ფასი 7 კაპ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ათ სათამდე 5 მანეთი, ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული „ერთობის“ ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 68 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 68

# ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები ანნა ანდრიას ასული და ვასილი სპირიდონის ძე ბარკალაია შვილებითურთ ბაბილინა, ვასიკო და აკაკით და დიდედა ნადეჟდა ანდრიას ასული ბარკალაია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროოთ გარდაცვალებულის თფილისის I საქალებო გიმნაზიის მოწაფის

**თამარა ვასილის ასული ბარკალაიასი**

წლის თავის შესრულების გამო, კვირას 11 ივნისს 12 საათზე ქუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და სასაფლაოზე პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლათ.

---

კვირას 11 ივნისს ნაძალადევში რკინის გზის ეკლესიაში ხიდის ახლოს

**კონსტანტინე (ცაცა) ლეჟავას**

გარდაცვალების მე 9-ე დღეს, რომელიც მტკვარში დაიხრჩო, გარდახდილი იქნება პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გულმოკლული დედა სოფიო ნიკოლოზის ასული ლეჟავა.

## ქალაქის არჩევნების გამო.

**მოქალაქენო!**

ამ დღეებში დამთავრდება ქალაქის ამრჩეველთა სიების შედგენა, რომლის შემდეგ ის გამოქვეყნებულ იქნება. სიების გამოქვეყნების შემდეგ ხუთი დღის განმავლობაში, ქალაქ თფილისის მცხოვრებთ უფლება აქვთ, შეიტანონ განცხადებები, თუ რომ სიებში რაიმე სისწორეს აღმოაჩენენ, ან და თუ ვინმე სიაში გამორჩენილი იქნება. ვინც სიაში გამორჩება და 5 დღის ვადაში არ განაცხადებს ამის შესახებ, მას საარჩევნო ხმა ეკარგება. დამატებითი სიაში შესატანათ საჭიროა ან პირადათ გამოცხადება, ან და წერილობითი განცხადების შეტანა, რომელთანაც უნდა წარმოდგენილ იქმნას დამამტკიცებელი საბუთები, იმის შესახებ, რომ მას უფლება აქვს საარჩევნო ხმის მიღებისა, (საბუთი იმის შესახებ, რომ ის ნამდვილათ ცხოვრობდა თფილისში სიების შედგენის დაწყების დროს ე. ი. 28 მაისს, აგრეთვე პიროვნებისა და წლოვანების დამამტკიცებელი საბუთი).

სიაში გამორჩენილ პირთ არ შეუძლიათ თავიანთი სიის წარდგენა სხვა რომელიმე პირის ან რწმუნებულის საშუალებით. აგრეთვე არ მიიღება განცხადებები სიაში გამორჩენის შესახებ, მანამ, სანამ სიები არ გამოქვეყნდება. რათა საშუალება მიეცეს თფილისის მცხოვრებთ, ბევრი დროის დაუკარგავლათ, განცხადების შეტანისა სიების ნაკლულოვანობაზე, ქალაქი თფილისი გაყოფილია 12 უბნათ და მსურველთ ხუთი დღის განმავლობაში ამ უბნების საარჩევნო ბიუროებში უნდა მიმართონ, რომლებიც იმყოფებიან შემდეგ ადგილებში:

| | | |
|---|---|---|
| ბიურო 1-ლი | სამილიციო უბნისა | იმყოფება ოლღას ქუჩაზე ქალაქის სასწავლებელში № 52 მაზლისა. |
| „ 2-რე | „ | არტისტიულ საზ. საზამთრო სადგომში. |
| „ 3-მე | „ | მესამე საქალებო გიმნაზიაში. |
| „ 4-ხე | „ | სახელოსნო სკოლაში ეკზარხის მოედანზე. |
| „ 5-თე | „ | ქალაქის სამკურნალოში ვორონცოვის ქუჩაზე. |
| „ 6-სე | „ | ნადეჟდის თავშესაფარში, რეიტერის ქუჩაზე. |
| „ 7-დე | „ | ავლაბრის კლუბის საზამთრო სადგომში. |
| „ 8-ვე | „ | 1-ლ კომერციულ სასწავლებელში ნიკოლოზის ქ. |
| „ 9-რე | „ | მეხუთე საქ. გიმნაზიაში მიხეილის ქუჩაზე. |
| „ 10-თე | „ | ქალ. სახალხო სახლში კიროჩნი ქუჩაზე. |
| „ 11-ტე | „ | სასურსათო კომიტეტში პავლოვის ქუჩაზე. |
| „ 12-ტე | „ | რკ. გზის ტეხნ. სასწავლებელში, შერემეტიევის ქ. |

2—1 **თფ. ქალ. გამგეობა. ბიურო ქალ. თფილისის საარჩევნო კომიტეტისა.**

## ინტელიგენტ ქალთა ჯგუფის

**ქრა კერვის სკოლაში გაიხსნა მოკლე ვადიანი კურსები.** ასწავლიან ჭრა კერვას და ყოველ გვარ ქარგვას. მოწაფეების მიღება გრძელდება. სწავლის ფასი ხელ მისაწვდომია ყველასათვის. ღარიბები მუქთათ. აქვე მიიღება შესაკერავათ კაბები და სხვა.

მისამართი: ვერის დაღმართი, სახლი № 3. ბინა № 9. ეზოში. (10—2)

## აუკციონი

## თფილისის ქალაქის ლომბარდი

აცხადებს, რომ კვირას, 11 ივნისს, დილის 10 საათზე ლომბარდის შენობაში გაიყიდება ვადა გასული დაგირავებული საგნები, რომლებიც შესდგება ძვირფასი ლითონეულისა და ქვებისაგან, ლითონის საგნებისა, საკერავი მანქანებისა, ნოხებისა, ტყავეულისა, ტანსაცმელისა და საერთო ყოველგვარი მოძრავი საქონლისაგან. 2—1

## ახალი კლუბის საზაფხულო შენობა.

**შაბათს, 10 ივნისს სოც.-დემოკ. გაზ. „ალიონის“ ფონდის გასაძლიერებლათ გაიმართება**

## დიდი საღამო.

წარმოდგენით და საკონცერტო განყოფილებით.

მონაწილეობას მიიღებენ ქართული დრამის მსახიობნი ვასო და ტასო აბაშიძენი და სხვ. სიმღერის პროფ. **რიანდოვის** სტუდია. საღამო შესდგება სამი განყოფილებისაგან:

1 განყ. ქართ. წარმ. „რაც არ მერგება, არ შემერგება“ ვოდ. 1 მოქ.

2 განყ. ნ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებული იქნება სხვადასხვა სამუსიკო ნომრები სტუდიის მოწაფეთაგან.

3 განყ. აღმოსავლეთური ცეკვა.

საღამოსთვის ბაღში მოწყობილი იქნება კიოსკები, პტი-შვო, კონფეტები, პოსტა და სხვა გასართობები. საღამოსთვის მოწვეულია კლუბის ორკესტრი და დუდუკი.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე. ბილეთები ამ თავითვე ისყიდება „ალიონის“ რედაქციაში.

**საღამოს გამგე ანნა ქავთარაძისა,**

## ინტერნაციონალური საღამო.

ორშაბათს, 12 ივნისს 1917 წ. არტისტიულ საზოგადოების თეატრში გაიმართება პირველათ თფილისში

## დიდი ინტერნაციონალური საღამო-კონცერტი

## ს.-დ. პარტიული სტამბის ფონდის სასარგებლოთ.

**1-ლი განყოფილება:** შესავალი სიტყვა „ინტერნაციონალსა და მის მნიშვნელობაზე“—წარმოსთქვამს რუსულათ მეორე სახელმწიფო დუმის დეპუტატი **გერასიმე მახარაძე.**

**2-რე განყოფილება:** თანამედროვე რევოლიუციონური პოეზია—ლიტერატურა.

**3-მე განყოფილება:** ა) „ხელოვნება და რევოლიუცია“—წარმოსთქვამს **კ. ფოცხვერაშვილი.** ბ) სიმღერა, სოლო, სკრიპკა, თარი, ტიანური, გუნდები: რუსული (ტრაცენკოს ხელმძღვანელობით), ქართული (მ. კავსაძის ხელმძღ.), სომხური (აივაზიანის ხელმძღ.), თათრული (ალექეროვის)

**4-ხე განყოფილება:** ცოცხალი სურათები თანამედროვე რევოლიუციონურ თემებზე.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ალ. წუწუნავა, კ. ფოცხვერაშვილი, ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, ფალიევი, გრიქუროვა, გოცირიძე, ზელინსკაია, ზუბარიოვი, თაგუნა და სხვ.

**სიმფონიური ორკესტრი, სამხედრო ორკესტრი.**

ბილეთები წინასწარ იყიდება გაზ. „ერთობის“ კონტორაში (გოლოვინის პრ. 12) დღის 9—1 ს. და საღ. 4—6 ს.

**გამგე კომისია.**

## ახალი კლუბის ბაღში

**კვირას, 11 ივნისს 1917 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება დიდი სახალხო**

## სეირნობა ლატარია-ალეგრით.

სართობები ბავშვებისა და დიდებისთვის: პტი-შვო, მედნიერების კლიტე, დედოფალი, ყვავილები, ფოსტა, რგოლების სროლა, ბედნიერების ბოქსა, ტუმბო, საბავშვო გასართობები, კიოსკები და სხვა.

სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი. დასაწყისი დღის 3 ს. შესასვლელი ფასი დიდებისათვის 60 კ. მოწაფეთა და პატარებისათვის 35 კ.

## ფინჯანი ჩაი

## სახახლის ბაღში

შაბათს 10 ივნისს 1917 წ. შესდგება საინტერესო

## „კონცე ტი-სეირნობა“.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ სიმფონიური ორკესტრი 218 პოლკისა. დრამის მსახიობები: მ. პ. ვასილჩიკოვი, მ. მ. პერსიონი, ვ. ვ. ვეკალერი; ოპერის მსახიობები: ბ-ნი ორლოვი და გერმანოვი. **პროგრამა კონცერტისა:** არია, რომანსი, კითხვა, დეკლამაცია, კომიკური მოთხრობა-სცენები. დასასრულ ითამაშებენ ერთ მოქმედებიან ვოდევილს „ქარიშხალს“.

სეირნობის დასაწყისი—დილის 11 საათზე. კონცერტისა საღამოს 8 საათზე. **ანონსი:** კვირას 11 ივნისს იმღერებს ამალის (კონვოის) ხორო.

სეირნობის გამგე: **მ. ესსენი.**

## ამხანაგებო ბუხგალტერებო და კანტორის მოსამსახურენო!

დაბეჯითებით გთხოვთ მოხვიდეთ დღეს შაბათს 10 ივნისს საღამოს 7 საათზე

## სომხურ დრამატიულ კრუჟოკის სადგომში

სოლოლაკის ქ. № 20.

განსახილველია საკითხი დაარსება სექციისა სავაჭრო დაწესებულებ. მოსამსახურეთა პროფ. კავშირთან.

**საორგანიზაციო კომისია.**

## თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

**გადავიდა ახალ ბინაზე ბებუთოვის და რტიშჩევის ქუჩის კუთხეში 25—22. ტელ. 13—40.**

შაბათს, 10 ივნისს საღამოს 7 საათზე მოხდება პირველი

## საერთო კრება

ვერცხლეულობის, საათების, საიუველირო მაღაზიების მუშების ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირის შენობაში (პეტრე დიდის ქუჩა, № 18).

**დღის წეს-რიგი:** 1) პროფესიონალურ კავშირის წესდების განხილვა და დამტკიცება, 2) მოხსენება პროფესიონალურ კავშირის მნიშვნელობაზე, 3) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები, 4) მიმდინარე საქმეები. ამხანაგებს თხოვენ უსათუოდ დაესწრონ.

3—3

## სტუდენტი

ამზადებს ყველა სასწავლებლისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხარისხის და წოდებაზე. ვერა. ყაზბეგის ქუჩა № 5. 6—1

## დაკარგე

18 მაისს თფილისში სამუშაო ფული, ჩემს სახელზედ შედგენილი თამასუქებით და სხვა საბუთის ქაღალდებით. მპოვნელს ვთხოვ ფული დაიტოვოს და მისცეს გამოუსადეგარი ქაღალდები დამიბრუნოს. თუმცა არც საფულეზედ ვიტყოდი ვარს ამ მისამართით: Станція Карапзы А. А Пирцхалава.

## ექიმი ივანე თივანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

**თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:**

1) **პირველი რაიონი:** ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა საღამოს 5—7 საათამდე.

2) **მეორე რაიონი:** სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) **მესამე რაიონი:** ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) **მეოთხე რაიონი:** ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

**ბიურო**

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

**კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში). კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.**

## სოციალდემოკრატიული ყრილობა.

დღეს ამიერ კავკასიის სოციალდემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობა იწყება.

25 წელია, რაც სოციალდემოკრატია მოღვაწეობს ჩვენში. თავდაპირველათ ის მესამე დასის სახელწოდებით უმნიშვნელო ჯგუფს წარმოადგენდა. მაგრამ ის იყო ძლიერი იდეით. მან ცხოვრების განვითარებას ალღო აუღო და ამ იდეამ წყვდიადი გაჰპო და ქვეყნის მივარდნილ კუთხეებსაც კი სინათლე მოჰფინა. ამ ხნის განმავლობაში სოციალდემოკრატია იმიერ კავკასიაში უძლიერესი პარტია შეიქნა. ამიტომაც იყო მეფის მთავრობა მას ასე გაფთრებით ებრძოდა და პარტიის მუშაკებს სასტიკათ უმკლავდებოდა, მაგრამ ამაოთ. სოციალდემოკრატიამ სძლია ყოველივე დაბრკოლება. ეს ცოტაა. მთელი რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში მოექცა. ოთხივე სახელმწიფო დუმის სოციალდემოკრატიულ ფრაქციას ამიერ კავკასიის სოციალდემოკრატია მეთაურობდა. ასეთივე მდგომარეობაა დღესაც, როცა დიდი რევოლიუციის მეთაურათ კვლავ ამიერ კავკასიის სოციალდემოკრატიის წარმომადგენლები გვევლინებიან. სოციალდემოკრატიამ შესაფერათ შეასრულა თავისი დიდი ისტორიული მოვალეობა.

და აი დღეს მას საშვალება ეძლევა აშკარათ შეიკრიბოს და საჭირბოროტო კითხვებზე პასუხი თავისუფლათ გასცეს. ეს სოციალდემოკრატიის დღესასწაულია, მისივე დაუღალავი ბრძოლით მოპოებული. პარტიის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება.

მაგრამ ყრილობას დიდი მნიშვნელობა ექნება საერთოთ მთელი ამიერ კავკასიისათვის. სოციალდემოკრატია ერთათ ერთი პარტიაა, რომელიც ყველაზე უფრო დაინტერესებულია და საკმაოთ ძლიერია, რომ რევოლიუციის განმტკიცებას ხელი შეუწყოს. ჩვენში რევოლიუციონურ სამოსელში ნაციონალისტური პარტიები იკაზმებიან. მაგრამ მათი მოღვაწეობა ერთა შორის შუღლსა და მტრობას აღვივებს და ამ გზით რევოლიუციას ძირს უთხრის. მხოლოდ სოციალ-დემოკრატიაა დაინტერესებული ერთა სოლიდარობის განმტკიცებაში. ეს მან საუცხოვოთ დაამტკიცა 1905 წელს და შემდეგ რეაქციისა და მიმდინარე რევოლიუციის ხანაშიც.

ამიერ კავკასიის რევოლიუცია გაიმარჯვებს სოციალ დემოკრატიის გაძლიერებით.

ჩვენ გულითად სალამს ვუძღვნით ყრილობის წევრებს, რომელთაც პარტიამ ასეთი საპატიო როლი არგუნა და თან დიდი მოვალეობა დააკისრა. ჩვენ განსაკუთრებულ სალამს ვუძღვნით იმ ამხანაგებს, რომელნიც შორს იყვნენ ჩვენგან გადახვეწილნი და ძვირფას პარტიულ საქმეს მეფის მთავრობის ძალდატანებით მოშორებულნი, დღეს კი პარტიის ნდობით აღჭურვილნი ყრილობას ესტუმრებიან, რომ თავისი გულისნადები ამხანაგებს გაუზიარონ და მათთან ერთათ ისაქმონ.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ყრილობა ხელს შეუწყობს სოციალ დემოკრატიის კიდევ უფრო გაძლიერებას და კერძოთ ინტერნაციონალის აღდგენას, რომლის საბოლოო დასამარებას ამაოთ ელტვოდენ ბურჟუაზიული პარტიები და ზოგი ჟინით შეპყრობილი ამხანაგებიც.

გაუმარჯოს ინტერნაციონალს! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

## ბინის საკითხი და ქალაქის ახალი საბჭო.

მოქალაქენო! ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ღარიბ ხალხს მეტის მეტად უვარგის ბინებზე უხდებოდათ ცხოვრება. დიდ-ძალი ხალხი აფარებდა თავს სარდაფებში, ბნელ პატარა ოთახებში, ომის დროს ბინის საკითხი ხომ კიდევ უფრო გამწვავდა. თფილისს ბევრი

# ამხანაგებო მუშებო და ჯარის კაცებო! არ დაჰკარგოთ საარჩევნო [illegible]

ბიბლიოთეკა

სხვა და სხვა ჯურის ხალხი მოაწყდა. ამით ისარგებლეს სახლის პატრონებმა და გასაშტერებლათ აუწიეს ბინებს ფასი.

აუტანელია, მოქალაქენო, უვარგის ბინაზე ცხოვრება. ნოტიო და ვიწრო ბინაზე ჩნდება და სწრაფად ვრცელდება ისეთი ავათმყოფობანი როგორიცაა: ჭლექი, ყელჭირვება, სახადი და სხ.

ვის მოვალეობას შეადგენს ზრუნვა იმაზე, რომ ხელმოკლე ხალხი ხეირიან ბინებზე სცხოვრობდეს? რომ მათ ჰქონდეთ ნათელი, მშრალი, ერთი სიტყვით, ყოველ მხრით მოწყობილი ბინები.

ამაზე უნდა იზრუნოს ქალაქის საბჭომ.

რის გაკეთება შეუძლია მას ამ მხრით?

რუსეთში ამ სფეროში ქალაქის საბჭოები არაფერს არ აკეთებდენ.

დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქალაქებში, სადაც მოახერხეს ქალაქის საბჭოებში სოც.-დემოკრატების არჩევა, იქ კაი ხანია შეუდგენ ზრუნვას, რომ არა თუ მდიდრები, არამედ ხელმოკლე ხალხიც ცხოვრობდეს ხეირიანათ მოწყობილ ბინებზე. მაგალითად, შვეიცარიის ქალაქ ბერნში ქალაქის საბჭო თავისი ხარჯით აშენებს სახლებს და შემდეგ ბინებს აქირავებს; ასე იქცევა არა მოსაგებისთვის, არამედ ის ზრუნავს ხელმოკლე მოქალაქეთათვის. იქ ყოველ მხრივ მოწყობილი მშრალი, ნათელი ბინა ორიდან ოთხ ოთახამდე შემდგარი ღირს თვიურად 7—10 მანეთამდე. ინგლისის ქალაქ ედინბურგში კი პატარა, კარგს ბინას თვიურად 4 მანეთად იშოვნი. ლონდონში, ჟენევაში, ფრეიბურგში და დასავლეთ ევროპის სხვა მრავალ ქალაქებში ქალაქის საბჭოები აშენებენ სახლებს და შემდეგ აქირავებენ ბინებათ ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

ქალაქის საბჭოს მიერ აშენებულ სახლებში ბინებს ისე სახელდახელოთ კი არ აკეთებენ, არამედ ყოველ მხრით საფუძვლიანათ აწყობენ. ასეთი ბინები საკმაოთ თბილი, მშრალი და ნათელია. იქ არის ელექტრონის განათება, წყალი და სხვ. უამისოდ ბინა წარმოუდგენელია ქალაქის სახლებში.

მაგრამ იმ ადგილებში, სადაც სოციალ-დემოკრატები ჰყავთ არჩეული ქალაქის საბჭოებში ზემოჩამოთვლილი ზომებით არ განისაზღვრება ქალაქის საბჭოთა მზრუნველობა ბინების შესახებ. ქალაქის საბჭოები სასტიკ თვალყურს ადევნებენ კერძო პირთა სახლებსაც. თვალყურს ადევნებენ, რომ მათ მიერ გასაქირავებელი ბინები ნოტიო, მოუწყობელი არ იყოს. სარდაფების გაქირავება საცხოვრებლათ იქ სასტიკათ აკრძალულია. თუ დამტკიცდა, რომ სახლი საცხოვრებლათ გამოუსადეგარია, ასეთ სახლს ანგრევენ და პატრონს სახლის საფასურს უნაზღაურებენ.

მოქალაქენო! თუ თქვენ ხმას მისცემთ სოციალ-დემოკრატებს და ეცდებით იმათი უმრავლესობა გაიყვანოთ ქალაქის საბჭოში, პირველ შეძლებისთანავე ისინი ხელს მოჰკიდებენ ბინის საკითხის მოწესრიგებას. ამ შემთხვევაში ისინი იხელმძღვანელებენ დასავლეთ ევროპის ამხანაგების ნამუშევარით.

მაგრამ, სანამ ზემოჩამოთვლილი ღონისძიებანი განხორციელდებოდეს, ცოტა რამის გაკეთება ბინის საკითხში ახლავე შეიძლება.

უპირველესად ყოვლისა ბინებზე შეიძლება ისეთი ფასების დაწესება, რომლის ზევით ქირის აღება სახლისპატრონებს აკრძალული ექნება. რა თქმა უნდა, ისეთი ფასების დაწესება კი არ მოხდება, როგორიც ახლა არის, არამედ უფრო სამართლიანი და ახალი ფასების დაწესება. თუ ვინიცობაა, ქალაქში არსებული ბინები საკმარისი არ იქნება, ამ შემთხვევაში ქალაქის საბჭო უნდა შეეცადოს მიენიჭოს მას სახლებისა და კერძო ბინების რეკვიზიციის უფლება.

მოქალაქენო! იცოდეთ, რომ ზემოჩამოთვლილ საჭიროების ცხოვრებაში ჭეშმარიტი განმახორციელებელი მხოლოდ მუშათა პარტია, სოციალ-დემოკრატია და არა სხვა რომელიმე პარტია. რატომ ნაკლებათ ზრუნავდა ქალაქის საბჭო ხელმოკლე ხალხის საკეთილდღეოთ? იმიტომ, რომ ქალაქის საბჭოს საქმეებს მდიდარ სახლის პატრონთა წარმომადგენლები მეთაურობდენ. მდიდარი სახლის პატრონები კი ბინების სიძვირის დროს კიდევ უფრო მდიდრდებოდენ. ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ზომების განხორციელება მათთვის საზარალო იქნებოდა.

ყველა ქვეყანაში, და მათ შორის ჩვენშიაც, სოციალ-დემოკრატია შეუდრეკელათ იბრძვის მშრომელთა ინტერესებისათვის. სოციალ-დემოკრატიას მუშები მიჰყვებიან. მხოლოდ იმ პარტიას შეუძლია ყველა ხელმოკლეთა ინტერესების დასაცავათ ზრუნვა, რომელსაც მუშები მიჰყვებიან.

დიადი საქმე კეთდება ამ ჟამათ მთელს რუსეთში!

თავდაუჭერელი ღელვით მიისწრაფვის ხალხის მასსა ბრწყინვალე ცხოვრებისაკენ!

მოქალაქენო! მხარი დაუჭირეთ ერთადერთ ხალხის ინტერესების ჭეშმარიტ დამცველს—რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

მოქალაქენო! ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატებს!

გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

## პრესა.

ფედერალისტები დიდ გასაჭირში ჩავარდენ. ისინი ჩვენს ცხოვრებასა და ხალხს სრულიად მოსწყდენ და ერთ ერთ იმედს რუსეთიდან „მოსულ დეპეშებს“ ამყარებენ. „სახ. ფურცლის“ კალმოსნები სოციალ-დემოკრატების დოგმატიკოსობაზე სწერენ, თითონ კი ეს „რეალური პოლიტიკოსები“ თემურ მიწათმფლობელობის ნაშთებს ეპოტინებიან, რომელიც რუსეთში ჯერ კიდევ აქა იქ არ გამქრალა, მარა რომელსაც ჩვენში არავითარი ნიადაგი არ აქვს. აბა რომელი ჭკუათმყოფელი დაიწყებს ჩვენში ქადაგებას ბაღებისა და ვენახების „თანასწორ სარგებლობაზე“? როგორ გსურთ „თანასწორი სარგებლობის“ და მოხმარის პრინციპი გაატაროთ კახეთის საუფლისწულო ბაღებსა, გინდ ჩაქვის ჩაის პლანტაციებში?

და აი, როცა ჩვენ ამ უტოპიურ ხუხულას ვანგრევთ, ისინი დოქტრინიორებათ გვნათლავენ. ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალო—სწორეთ ამაზეა ნათქვამი.

„სახ. ფურცელი“ გვაშინებს რუსეთის გლეხების ყრილობაზე გამოტანილი რეზოლიუციებით, იქ სოციალიზაცია მიიღეს და თქვენ სადღა წახვალთო. ვთქვათ ეს ასეა და რუსეთის გლეხობამ, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებაში ახლა იწყებს მონაწილეობის მიღებას, შეგნებულათ გაითვალისწინა ყველაფერი, ასწონ-დასწონა და ისე მიიღო მიწის სოციალიზაცია. მერე რა აქედან განა მთელი რუსეთი ერთნაირ ეკონომიურ და სამეურნეო პირობებშია, რომ ყველგან ის მიიღონ, რაც შიდა რუსეთის გლეხობამ დაადგინა?

მარა ესეც რომ არ იყოს, ჩვენთვის ამ სამიტინგო რეზოლიუციებს იმდენი ფასი აქვს, რამდენიც ყოველგვარ ნაუცბათევ—შეხანხლილ დადგენილებას, რომლის უკან არავითარი შეკავშირებული ძალა არ დგას. სოც.-რევოლიუციონერების სოციალიზაციას გლეხები თავისებურ განმარტებას აძლევენ. ისინი გულისხმობენ აქ არა კერძო საკუთრების სრულ მოსპობას, არამედ სხვილი მემამულეების საკუთრების თვისათ გამოცხადებას. ამას ამტკიცებს რუსეთის სხვა და სხვა ადგილას მიწის დატაცების და დაყოფის ამბები და ფედერალისტებს რომ დეპეშების გაგება მართლა შეეძლოთ, ამას შეამჩნევდენ. მარა „დოქტრინიორებმა“ გაიგეს, რომ გლეხთა ყრილობამ სოციალიზაცია მიიღო და მთელი კითხვა გადაწყვეტილი ჰგონიათ. არსებულ წარმოების წესებს და ეკონომიურ პირობებს კი ვერავინ გადაახტება თავზე. ამას რუსეთის ბევრი სოც.-რევოლიუციონერი დღეს იგებს, ხოლო მათი უნიადაგო ამყოლნი აქ იმეორებენ პირწმინდათ ძველ დოგმებს. ალბათ ამ უჯარო გენერლებს ძალიან უნდათ ვინმე მოკავშირე იშოვნონ, ის კი დაავიწყდათ, რომ თფილისის სოციალისტ-რევოლიუციონერებმა მათი „სოციალისტობა“ უარყვეს.

* * *

„სახ. ფურცელი“ „ალიონსაც“ ძალიან გაუჯავრებია. თურმე „ალიონის“ გამოსვლამ ჩვენს ფედერალისტებს იმედები აუძრა, რომ სოც.-დემოკრატია დაიშლებოდა და ბურთი და მოედანი მის თავად-აზნაურულ „სოციალიზმს“ დარჩებოდა. იმედი რასაკვირველია იმდენათ უსაფუძვლო იყო, რამდენათაც ბრიყვული. ახლა ამაში თითონაც დარწმუნებულან და გულმოკლული სწერენ:

„როდესაც ჩვენ სოც.-დემ. ერთი ჯგუფი ეყოფა და ცალკე ორგანოს აარსებს, ჩვენი საზოგადოება სიხარულით ეგებება ამ მოვლენას და შესაძლოდ მიაჩნია ამ პარტიის დახავსებულ დოგმების გადახალისება. მაგრამ იმედი ყოველთვის გასცრუებია ჩვენს საზოგადოებას: ამ ჯგუფს არასოდეს გამოუჩენია ორიგინალი, შემოქმედებითი უნარი და ყოველთვის ძველ გზას გაყოლა უფრო ეგუებოდა მის „ახალ“ მუშაობას.

აი, ეხლაც ერთი ჯგუფი ჩაუდგა გაზეთ „ალიონს“, პირველად იგი თითქოს გაბედვით მოქმედებდა და ჩვენ მიერ დამუშავებული ავტონომიის ნაზა პროგრამა აიღეს ფედერაციის გამოკლებით. მაგრამ ძველმა დოგმატიკოსებმა მათ დაუცაცხანეს, დატუქსეს—ფედერალისტობა დაწმეს.

დაშინებულნი „ალიონისტები“ დაამობის გზას დაადგნენ და ძველ გზაზე შედგნენ“.

ამ ამონაწერიდან, ცხადია, თუ ვის აწყობს ყოველგვარი განხეთქილება შეგნებულ მუშათა შორის. ტყვილა არ ვწერდით ჩვენ გუშინ, რომ თფილისელი ლენინელები ბურჟუაზიული პარტიების გასახარელ საქმეს ჩადიან თქო. რაც ჩვენ გუშინ აღვნიშნეთ, როგორც ჩვენი დასკვნა, დღეს „სახ. ფურცელი“ თითონვე აშკარათ აღიარებს.

ამიტომაც მიეგება ის სიხარულით ლენინელების გამოსვლას. ამიტომ არის, რომ ის ქეთინაურებით უმასპინძლდება მათ. ალბათ „შესაძლებლათ მიაჩნია“ ჩვენი პარტიის დაშლა. მარა ჩვენი მუშები მას ისე გაუცრუებენ იმედს, როგორც გუშინ.

დიდი, ილოდინ ეს გასოციალისტებულმა თათქარიძეებმა!

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 7—8 ივნისი).

### ფინლიანდიის სოც.-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა.

**ჰელსინგფორსი.** ფინლიანდიის ს.-დემოკრატიულ პარტიის სამი დღის ყრილობა. პარტიამ ამ ყრილობაზე შეიმუშავა ახალ პოლიტიკურ პირობებში მოქმედების ტაქტიკა. ყრილობამ რეზოლიუცია მიიღო, რომლითაც სოლიდარობას უცხადებენ ციმერვალდის კონფერენციას, რომელმაც ფინლიანდიის რუსეთიდან გამოყოფა და ცალკე რესპუბლიკას დაარსება მოითხოვა. რეზოლიუციის თანახმათ მშვიდობიანობის დროს რუსეთს არ შეუძლია ფინლიანდიის ტერიტორიაზე იყოლიოს ჯარი და ჰქონდეს ციხე-სიმაგრეები. ეკონომიურ საქმეებს ურთიერთ შორის რუსეთი აწყობს ფინლიანდიასთან შეთანხმებით, როგორც სხვა უცხო სახელმწიფოებთან. ყრილობამ ოთხი დელეგატი აირჩია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე დასასწრებლათ.

### ყაზახთა ყრილობა.

**პეტროგრადი.** გაიხსნა სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებს ევროპის და აზიის რუსეთის ყველა ყაზახთა ჯარების წარმომადგენელნი. ყრილობას ხსნის სახელმწიფო დუმის წევრი სავატეევი. კრებაზე როძიანკოც გამოცხადდა. სავატეევი აცხადებს, რომ ყაზახებს შეუძლიათ შექმნან ფოლადის დისციპლინა და თავზარი დესცენ გარეშე მტერს. დონის პირველ პოლკის დელეგატები სალამს უძღვნიან ყრილობას და თხოულობენ მიღებულ იქნას სასტიკი ზომები ანარქისტ-ლენინელების აგიტაციის წინააღმდეგ და იგინი რუსეთის მოღალატეთ გამოაცხადონ. შემდეგ ლაპარაკობს როძიანკო, გლებოვი, ნეკლიუდოვი და სხვები. დასასრულ ვრცელ სიტყვებს აძლევენ საფრანგეთის, რუმინიის, სერბიის და ბელგიის წარმომადგენელნი. მათ სიტყვებს ფეხზე ამდგარი ისმენენ.

### ფინლიანდიის სეიმის დადგენილება.

**ჰელსინგფორსი.** ფინლიანდიის სეიმმა დაადგინა დაუყონებლივ მოსპოს ფინლიანდიის რკინის გზებზე წითელი ჯვრის სასარგებლოთ დაწესებული სამგზავრო-გადასახადი 1916 წ. 1 მაისის ბრძანებით, ხოლო [illegible] როგორც ფინლიანდიის ძირითად კანონების წინააღმდეგი, გაუქმებულ იქნას.

### დეპუტატთა საბჭოების ყრილობა.

**პეტროგრადი.** 7 ივნისს მოხდა მხოლოდ საღამოს კრება. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა შრომის მინისტრმა სკობელევმა რუსეთის ფინანსიურ მდგომარეობის იმ ზომების, რომლებითაც მთავრობა ფიქრობს რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას და საზოგადოთ შრომის სამინისტროს მუშაობის შესახებ. მან სთქვა, რომ კაპიტალისტური მეურნეობის ზრდა განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ცხოვრება მშვიდობიანათ მიმდინარეობს. რევოლიუციის პირველ დღეებში, როცა კაპიტალისტებს და ვაჭარ-მრეწველთ შიშის ქარი გაუდგათ და არ იცოდენ რა მოხდებოდა მეორე დღეს და სამუშაო ქირა უცბათ გადიდდა. პირველი დროებითი მთავრობა უფრო მაგრათ დააწვა ქაღალდის ფულის საბეჭდ მანქანას ვიდრე ძველი მთავრობა. ახალ მთავრობას, რომელმაც ერთის დაკვრით დაამხო ძველი მთავრობა, არ შეეძლო ერთის დაკვრითვე შეეცვალა ფინანსიური პოლიტიკა, ამისთვის საჭირო იყო მუშაობა და მოფიქრება, დროებითი მთავრობა კი პირველ ხანებში მხოლოდ პოლიტიკურ კითხვებით იყო გატაცებული. ჯერ ჯერობით დროებით მთავრობის განკარგულებაშია მხოლოდ ქაღალდის ფულის საბეჭდი მანქანა. სხვა ფულის შოვნა მას არ შეუძლია. მთავრობის პირველი ნაბიჯი იყო ფინანსიურ საკითხში ახალ პირდაპირ გადასახადების შემოღება და ძველების გადიდება. მან წარმოადგინა შემოსავლის კვალობაზე გადასახადის ახალი პროექტი. მაგრამ დროებითმა მთავრობამ უკან დააბრუნა ეს პროექტი შესასწორებლათ. განზრახულია მეტი გადასახადი დაადვან სამხედრო ზედმეტ მოგებაზე და მემკვიდრეობაზე. ამავე დროს სახელმწიფო ხაზინის შესავსებათ მხოლოდ მარტო-ღა ის ქაღალდის ფულის საბეჭდი მანქანა დაგვრჩენია, მაგრამ მეტი ამ ფულის გამოშვება, შეუძლებელია, ფინანსების მოსაწესრიგებელი საშუალება მხოლოდ ერთია—დაზოგვა. საშუალების გამოსაძებნი ერთათ ერთი წყარო სესხია. სკობელევი აღნიშნავს, რომ თავისუფალ სესხზე გავლენა იქონია ქვეყნის პოლიტიკურმა ცხოვრებამ. პირველათ ხელის მოწერამ ფართო ხასიათი მიიღო, მთავრობის კრიზისის დროს იკლო, ხოლო კოალიციურ სამინისტროს შედგენის შემდეგ იმატა. შრომის სამინისტროს მუშაობის შესახებ მინისტრმა სთქვა, რომ სამინისტრო უმთავრესათ სცდილობს შრომისა და კაპიტალის ურთიერთობის მოწესრიგება. განზრახულია შემოიღონ დაზღვევა, ქალთა და ბავშვთა შრომის დაცვა, უმუშევრობასთან ბრძოლა, 8 საათის სამუშაო დღე და სხვა. მან განაცხადა, რომ 7 ივნისს პირველათ შეიკრიბა ექვსი მინისტრი ქვეყნის მეურნეობის მოსაწესრიგებლათ. მინისტრებს უნდათ დაარსონ დროებით მთავრობასთან საეკონომიო საბჭო, რომელსაც დაეკისრება სამეურნეო რეფორმები მაგრამ რეფორმების განხორციელება მარტო დროებით მთავრობის ნება სურვილზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზე თუ რამდენათ იქნება ორგანიზაციულათ მოწყობილი რევოლიუციონური დემოკრატია (გამოტოვებულია. ტაში). შემდეგ გაიმართა კამათი დროებით მთავრობასთან დამოკიდებულების შესახებ.

### გაფიცვის შეწყვეტა.

**პეტროგრადი.** ნიკოლაევის რკინის გზაზე დაწყებული გაფიცვა დღეს სრულიად შეწყდა. გაფიცვა დაიწყო რკინის გზის ერთი ნაწილის. ორასამდე კაცმა გამოაცხადეს რა, რომ შესდგა მომრიგებელი კომისია, გაფიცულებმა განაცხადეს დაუყონებლივ მუშაობას შეუდგებითო.

### სოციალისტების დეკლარაცია.

**ბერნი.** ნაციონალურ საბჭოს სოციალისტურმა ჯგუფმა შეადგინა დეკლარაცია, რომლითაც აცხადებენ, რომ გრიმი მოქმედებდა პეტროგრადში პირადი პასუხის მგებლობით და ჯგუფს არც ერთ წევრთან წინასწარი დამოკიდებულება არ ქონია. ამიტომ ჯგუფი პასუხს არ აგებს მის მოქმედებისათვის.

### სევასტოპოლის ამბები.

**პეტროგრადი.** 6 ივნისს საღამოს სამხედრო მინისტრმა კერენსკიმ ცნობა მიიღო შავი ზღვის ფლოტის უფროსისაგან, რომ მეზღვაურნი აღელდენ, მათ მიემხრო გარნიზონი, აფიცრებს იარაღი აჰყარეს და ადმირალ კოლჩაკს მოსთხოვეს ფლოტის უფროსობა გადაეცა. კერენსკიმ ეს დროებით მთავრობას მოახსენა. დროებითმა მთავრობამ დაადგინა მოსთხოვოს ფლოტის უფროსს და ცენტრალურ კომიტეტს: 1) დაუყონებლივ დაემორჩილოს ფლოტი კანონიერ მთავრობას, 2) დაუყონებლივ წამოვიდეს კოლჩაკი პეტროგრადში პირადათ მოსალაპარაკებლათ; დროებით ფლოტის უფროსობა იკისროს ადმირალმა ლუკინმა, რომელმაც უნდა მიიღოს დაუყოვნებლივი ზომები წესიერების აღსადგენათ, დაუბრუნონ აფიცრებს იარაღები; ის პირნი, რომელნიც არ დაემორჩილებიან ამ დადგენილებას დაუყოვნებლივ დაატუსაღონ როგორც რევოლიუციის და სამშობლოს მოღალატენი და სამართალში მისცენ. ღამით 8 ივნისს [illegible] ცნობა მიიღეს, რომლითაც ატყობინებს დელეგატთა კრების დადგენილებას. ამ დადგენილებით მოითხოვენ ყველანი დაემორჩილონ კანონიერ მთავრობის განკარგულებას, დაუბრუნონ აფიცრებს იარაღი, შესწყვიტონ ჩხრეკა—დატუსაღება და ფლოტის უფროსის განკარგულება ულაპარაკოთ შეასრულონ. დელეგატთა კრება ერთხელ კიდევ ნდობას უცხადებს დროებით მთავრობას და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და სთხოვს პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომელთაც სევასტოპოლის ამბებს სულ სხვა ხასიათი მისცეს, თითქო ბუნტი მომხდარიყოს. ამ ამბის გამომწვევ ნამდვილ მიზეზებს გამოიკვლევენ. ამბობენ, რომ კოლჩაკი აღარ დაბრუნდება სევასტოპოლში. მის წინააღმდეგ აგიტაციას სწევდენ ლენინელები და კოლჩაკმა ასეთ მიტინგს ბუნტი უწოდა, რითაც მის წინააღმდეგ აამხედრა შეგნებულთა უმრავლესობა.

## ომის დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**პეტროგრადი.** 7 ივნისი. დასავლეთის ასპარეზზე და რუმინიისა და კავკასიის ფრონტზე უმნიშვნელო შეტაკებები ხდება.

**პარიზი.** 6 ივნისი. შამპანში, კორნილიეს მაღლობებთან საარტილერიო სროლაა. აქვე მოვიგერიეთ მტრის მიერ მოტანილი იერიში.

ბალკანეთში მონასტირის რაიონში ზარბაზნების სროლაა.

სამხრეთ თესალიაში ჩვენმა ჯარმა სტრატეგიული ადგილები დაიკავა. თესალიის დაკავებაში ინგლისის ჯარიც იღებს მონაწილეობას.

**ლონდონი.** 7 ივნისი. საფრანგეთში არასთან ბრძოლის დროს ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია და აქ რამდენიმე ჯარისკაცი ტყვეთ წამოიყვანა.

**რომი,** 7 ივნისი. რომბოკოს მაღლობებთან მტერმა ჩვენს პოზიციებზე იერიშები მოიტანა და სანგრების ერთი წყება დაიკავეს. მაგრამ მალე იერიშები მივიტანეთ და დაკარგული ადგილები კვლავ უკან დავიბრუნეთ. იერიშები მოვიგერიეთ ჯამიანოს რაიონში.

## ახალი ამბები!!

**ამიერ კავკასიის ს. დ. ყრილობა გაიხსნება დღეს საღამოს სახალხო სახლში 7 საათზე.**

◆ **მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს** შეერთებული კრება მოხდება დღეს შაბათს 10 ივნისს საღამოს 5 საათზე სახალხო სახლში.

◆ **თფილისის რ. ს.-დ. მ. პ. კომიტეტ**თან შესდგა პროპაგანდისტთა კოლეგია, რომელსაც მუდმივი მდივანი ეყოლება. ძალები გაანაწილეს შემდეგ ნაირათ: პირველ რაიონში ვენიკევსკი, პ. ქაჯაია, ლაუფერტი, ნ. ხომერიკი და ვ. ნინიძე. მეორე რაიონში—ნ. ხომერიკი, კ. გვარჯალაძე, მ. ხუნდაძე, მაშკევიჩი, მ. რუსია, ვ. ხელაძე, მინადორა ტოროშელიძე და ნ. თოფურიძე. მესამე რაიონში—აუშტროვი, აკოფოვი, ერზნკიანი, აზატიანი, ქარაჯევი და კავკასიძე. მეოთხე რაიონში—ლ. ასათიანი, ლარიბოვი, სარქისოვი, მაჭავარიანი, ძიძიშვილი და აზატიანი.

◆ **ამიერ-კავკასიაში მილიციის მოწყობის** საკითხს ამ ახლო ხანში განიხილავს საგანგებო კომიტეტი.

◆ **ხაზინითალთ დაწესებულებათა** ჯამაგირების მოსამატებლათ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა გადასდო 34,112 მ.

◆ **კლუბებში, სასტუმროებში, სასადილოებში** და სხ. პროფესიონალური კავშირის წევრთა მეორე კრებას 31 მაისს 384 წევრი დაესწრო. ამხ. ა. აზატიანმა მოხსენება წაიკითხა პროფესიონალური კავშირების მნიშვნელობაზე. კრებაზე გამოირკვა, რომ სულ მოკლე ხანში გამგეობას 237 უმუშევარი ამხანაგისათვის უშოვია სამუშაო. კრებამ აღიარა, რომ საწევრო გადასახადი კავშირის კასაში ცოტა შედის (კავშირს 1324 წევრი ჰყავს). საჭიროა კავშირის ქონებრივად გაძლიერება, თორემ, როცა ომის გათავების შემდეგ უმუშევარნი მოაწყდებიან ქალაქს, საჭირო დახმარებას ვერ გავუწევთო. კრებამ პროტესტი განაცხადა მზარეულების კავშირიდან გასვლის შესახებ და წინადადება მისცა მათ დაუბრუნდენ კავშირს. ბოლოს კრებამ აირჩია გამგეობა, სარევიზიო კომისია და წარმომადგენლები მუშათა დეპუტატების საბჭოში.

◆ **თფილისის მომავალი საქალაქო** არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება დაახლოვებით 185 ათასამდე მოქალაქეს ექნება. მათ შორის ჯარისკაცი 70 ათასამდე იქნება.

◆ **რევაზოვის ქუჩაზე** მცხოვრებთა მდგომარეობა ჩვენი ქალაქის გამგეობის უყურადღებობით მათდამი პირდაპირ აუტანელია. მცხოვრებთა არავითარმა ხვეწნა მუდარამ არ [illegible] ამას გარდა დიდი ზარალს აყენებს მცხოვრებთ წვიმის დროს [illegible] სემინარიის ეზოდან მოვარდნილი ნიაღვარი. ნიაღვარის ასაცილებლად ქალაქის გამგეობამ [illegible] ამას წინეთ მუშაობაც კი დაიწყეს, მაგრამ დამთავრება მას არ აღირსეს. წინეთ ხალხი საჭირო ზომებს ასეთ შემთხვევაში ასე თუ ისე თითონ იღებდა, ახლა გამგეობის მუშაობის შემდეგ არც ეს შეიძლება. ინჟინრები კი ამბობენ, თურმე, როცა შეკითხვით მიმართეს—რატომ არ ამთავრებთ მუშაობასო—აქ კი არა, ჩვენ სოლოლაკშიც ბევრი გაუთავებელი საქმეები გვაქვსო. საჭიროა მოხდეს ამ უბნის მცხოვრებთა კრება, რომელმაც გადაჭრით უნდა მოსთხოვოს ქალაქის გამგეობას დაწყებული მუშაობის დამთავრება.

◆ **ფრიდრიხ ადლერის სიკვდილით დასჯის** წინააღმდეგ 4 ივნისს ბელი კლუბში შესდგა მიტინგი, რომელმაც შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „ჯარი და მცხოვრებნი ჩვენს პროტესტს ვუერთებთ მთელი რუსეთის რევოლიუციონური ხალხის პროტესტს ჩვენი ამხანაგის ფრ. ადლერისათვის სიკვდილის განაჩენის გამოტანის შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი ერთა შორის ძმობისა და სოლიდარობის განხორციელების ხანაშია და ის ნებას არ მისცემს ავსტრიის ჯალათებს განაჩენი სისრულეში მოიყვანონ. ძირს სიკვდილით დასჯა! გაუმარჯოს ფრ. ადლერს, გაუმარჯოს ინტერნაციონალს!“

◆ **ჟურნალი „სხივი“.** ქაღალდის უქონლობის და ასოთ-ამწყობების ნაკლებობის გამო ჟურნალი „სხივი“-ს გამოცემა შეწყდა. გამომცემლობა სთხოვს ხელის მომწერთ გვაცნობონ თავის სურვილი—უკან დავუბრუნოთ ფული თუ სხვა რომელიმე გამოცემა გამოვუწეროთ. კანტორა „განათლება“.

◆ **ჩექმების შესაკეთებელი სახელოსნო,** რომელიც ერობათა და ქალაქთა კავშირთან არსებობს, კავშირის კომიტეტს აზრათ ჰქონდა დახურა. ეს საკითხი განიხილა კომისიამ, რომელშიაც შედიოდენ: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, სახელოსნოს მუშები და კავშირის მოსამსახურეთა წარმომადგენლები. კომისიამ დაადგინა: არავითარი საფუძველი არ არის სახელოსნოს დახურვისა, სამართლიანათ სცნო მუშების მოთხოვნილებანი და წინადადება მისცა კომიტეტს დაუყონებლივ დააკმაყოფილოს.

◆ **კიევის კომერციულ ინსტიტუტში** წელს სწავლა დაასრულეს კომერციულ ტეხნიკურ განყოფილებაზე: პ. დათეშიძემ, შ. ზვიადაძისამ, ტ. კოპაძემ და ა. ქიპაშვილმა. ეკონომიურ განყოფილებაზე: დ. ბეჟანიძემ, ა. სულიაშვილმა და ა. ჩინჩალაძემ.

# ამხანაგებო და მოქალაქენო! ემზადეთ საქალაქო არჩევნებისათვის!

◆ ივნისის 7, სოც.-დემოკრატის პარტიის წევრთა და მოქალაქეთა კრებაზე, მესამე მომრიგებელ მოსამართლის განყოფილების (ტურგენევის ქუჩა) შენობაში, ამხ. თ. კიკვაძემ წაიკითხა რუსულ და ქართულ ენაზე ლექცია. თემა: „საქალაქო არჩევნები".

◆ თფილისის ყველა მებალე-მუშათა პროფ კავშირის გამგეობა მოთავსებულია პეტრე დიდის ქუჩაზე № 18. მიღება საღამოს 7—8 საათამდე. სხდომები სამშაბათობით.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, საღ. 7 ს. პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს სადგომში (პეტროგრადის ქ. № 18) შესდგება კრება ოქრომჭედელთა და მესაათეებისა პროფესიონალური კავშირის დასაარსებლათ. წაიკითხავენ მოხსენებას პროფესიონალური კავშირის მნიშვნელობაზე და აირჩევენ გამგეობას.

— საღამოს 6 ნახ. საათზე არსენალთან სალდათების კრება. თემა: „სოციალისტების კონფერენცია სტოკჰოლმში".

— დღეს, საღამოს 6 საათზე მე-6 ვაჟთა გიმნაზიაში უდელის ქუჩა, № 3 დანიშნულია ქალთა საზოგადო დიდი მიტინგი. ვსთხოვთ ყველა ამხანაგ ქალებს დაესწრონ კრებას.

— დღეს სახალხო სახლში, საღამოს 5 საათზე შესდგება მუშათა და სალდათების საბჭოების შეერთებული კრება. გასარჩევია: სამხედრო მთავრობის და მუშ. და სალ. დეპუტატების საბჭოს დამოკიდებულება, ადგილობრივი სასამართლო და სალდათების ყოფაქცევა ქალაქში.

— დღეს, საღამოს 7 ს. პირველი უბნის სოც.-დემ. სარჩევნო კომიტეტის კრება შესდგება მეექვსე სავაჟო გიმნაზიაში (უდელის ქუჩა № 3). ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

— ზოფერების პროფესიონ. კავშირის ბიურო იწვევს თავის წევრებს კრებაზე, რომელიც მოხდება 12 ივნისს I-ლ ქალ. გიმნ. (ლორის-მელიქოვის ქ.) საღ. 4 საათზე, ამხანაგებს სთხოვენ დროზე მოვიდნენ.

## პროვინციის ქრონიკა.

**გორი.** ს.-დ. კოლექტივი ამით აცხადებს, რომ ქ. გორში შესდგა საგამომძიებლო კომისია, რომელსაც დაევალა სამი ყოფილი ს. დ. პარტიის წევრების პიროვნების გამორკვევა—ამიტომ უმორჩილესათ ვთხოვთ ყველას ვინც კი იცით რამე მოგვაწოდეთ ცნობები: ესენი არიან: ნესტორ ქერექაშვილი, კოლა ფარს. ხუდაძოვი და სიკა ვარძელაშვილი. დასახელებულ კომისიაში შედიან შემდეგი ამხანაგები: გიორგი მინაზაროვი, მიხა მათიევი, ილიკო მურალოვი, ვანო მალიევი და მაშო კაპანაძე. მისამართი: ქ. გორი, სოციალდემოკრატიული პარტიის ბიურო.

**სოფ. ახალქალაქი.** (გორის მაზ.). 30 მაისს თფ. სამიწათმზომლო სასწ. მოწაფეთა ერთი ჯგუფის ინიციატივით და ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით აქ გაიმართა წარმოდგენა ინტერნაციონალურ პროგრამით, ქართულ, სომხურ და რუსულ ენაზე. წმინდა შემოსავალი (166 მ. 65 კ.) გადაიდო თფილისის მუშ. და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოების სასარგებლოთ. ამხ. მ. ჩაჩუამ წაიკითხა ქართულ ენაზე რეფერატი შემდეგ თემაზე: „დემოკრატიული რესპუბლიკა და საზოგადოებრივი კლასები".

— ჩვენი სოფელი ჩამორჩენილია ყოველ მხრივ. მართალია აქაც არსებობს რევოლიუციური დაწესებულებები, მაგრამ ისინი ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს თფ. მუშათა დეპ. საბჭომ, როგორც ფრიად ავტორიტეტულ საზოგადო დაწესებულებამ ჩვენში და მიიღოს ზომები საჭირო კაცები გამოგზავნოს სოფლად, რომ უეჭ. გლეხებს შეაგნებინონ დღევანდელი მდგომარეობა და გაუთვალისწინოს მომავალი. საჭიროა პროპაგანდისტები.

**ხ. მეორე ეწერი.** (სამეგრელო). აქ პირველ აპრილიდან დაარსდა უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველო, რომელსაც მოსდის შემდეგი გაზეთები: „ერთობა", „სახალხო ფურ.", „ალიონი", „ხალხის თავისუფლება", „ხმა ქართველი ქალისა", „ეშმაკის მათრახი" და „ზვირთი".

— 29 მაისს სამკითხველოს ეზოში გაიმართა დამფუძნებელი კრება აბაშის კოოპერატიული დუქნის განყოფილების დასაარსებლად. არჩეულ იქნა გამგეობა და სარევიზიო კომისია.

**გუდაუთი.** გუდაუთის ს.-დ. კოლექტივმა გაგზავნა სოხუმში პროპაგანდისტთა კურსებზე ათი ამხანაგი (9 კაცი და ერთი ქალი). უმრავლესობა სოფლის მასწავლებლებია.

**ქვედა დვაბზუ.** 12 მაისს 1917 წელს ქვედა დვაბზუის სამკითხველოს გამგეობის ინიციატივით ამავე სამკითხველოს სასარგებლოთ წარმოდგენილი იქნა: „მშვენიერი ეძიებს მაძებარი" და „ოინბაზი". წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. წმინდა შემოსავალი 182 მ. 85 კაპ. გადაეცა სამკითხველოს მოლარეს.

## ძველი რვეულიდან.

(თარგმანი).

მკაცრი ბუნება სტიქიონის ელვა-ქუხილში
ვით ლეგიონი უცხო ხმათა, თითქოს გრგვინავდა.
მაგრამ ამაყად, წმინდა სიტყვით „თავისუფლება",
გმირი ვიდოდა ალთქმის ქვეყნად, ტვირთ ქვეშ გმინავდა.

ქარსა, წყვდიადში, სამოთხისა მყუდრო ველზედა
წინ მიილტვოდა, დაეღარა შუბლი რწმენის დაღს.
ხელში ეჭირა, ერთი წუთით აღარ უშვებდა
წითელ ემბლემას, ამბოხების წმიდა ბაირაღს!

ასე ამბობდა: სიყვარულით თუ სიძულვილით
სულს ვინ ჩამბერა გულს აღმიგზნო ცეცხლისა ალი.
იქნებ დამცინეს უსულო ძალთ, იქნებ გონიერთ,
მაგრამ შენ ისევ მის განქრობის არ შეგწევს ძალი!

გინდა წამართვი მე სიცოცხლე, არ გთხოვ შენდობას.
მაგრამ, იცოდე, ვერც შენ გასცდი შებრალების წამსა.
სამკვდრო-სიცოცხლო მწარე ომში მე გიწვევ რწმენით,
მხოლოდ ჯაჭვებში შენ ჩაჭედავ უსულო გვამსა!

ბრმა ხარ უსულო შენ შენს სასტიკ მშვენიერებითა,
მე კი უკვდავი ჭკუისა ვარ მატარებელი.
ბოროტებისა ფურცლებს ავფხრეწ ცხოვრების წიგნით,
გავანადგურებ მე ახალი კანონმდებელი.

იახამანი.

## რეაქციონერები სოფლათ.

ვინ არ იცის, რომ უკიდურეს რეაქციონერების დასაყრდენობ კლდეს სოფლათ განსაკუთრებით სოფლის ადმინისტრაცია-პოლიცია შეადგენდენ. ვინ არ იცის, რომ არჩევნებითი სისტემა იქ ქაღალდზე იყო და სოფლის მოხელეები ყოველთვის იმას აბატონებდა ხალხზე, ვისაც თავისიანათ იცნობდა. ამ წესით სოფლათ გამომუშავდა მთელი წყება მოხელეებისა და მათი დამქაშებისა, რომელნიც სულით და ხორცით შეეტკბენ ძველ რეჟიმს და ენერგიულათ სდევნიდენ თავისუფალ აზრს სოფლიდან. ისინი ნიკოლოზზე ნაკლებათ არ იყვნენ დაინტერესებულნი თავის მრევლში „წესიერების" დაცვის საქმეში.

მერე როგორ ჰყავდათ დაბეჩავებული ხალხი შეშინებული მუხრუჭში გამოჭერილი! საკმაო იყო ყრილობაზე მათ ვინმე თვალში ამოეღოთ, ვინმესთვის თვალი გადაებრიალებიათ, რომ მოსალოდნელი მსხვერპლიც კაკლის ნაჭუჭში შემძვრალიყო ლოკოკინასავით.

ამიტომაც, ვინც სოფლის მდგომარეობას კარგათ იცნობს, მისთვის გასუგებარია, როცა ქალაქის პოლიცია ციხეებშია და სოფლის მოხელენი კი სოფლათვე არიან. სწორეთ სოფლის ხალხისთვის იყო საჭირო რეაქციონერების პროვოკაციისაგან უზრუნველყოფა. მაგრამ სწორეთ აქაა ხელუხლებელი რეაქციის ბუდეები.

სოფლის რეაქციონერებიც ფართოთ სარგებლობენ თავის თავისუფლებით. ისინი მტკიცეთ მუშაობენ და სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებაში ენერგიული ჩარევით ზხამავენ საერთო ატმოსფერას. ისინი ცდილობენ ისარგებლონ ყოველივე მოვლენით: პარტიული და წოდებრივი შუღლი, ქურდობა-ყაჩაღობის გარეშემო ხალხის უკმაყოფილება და სხვა ასეთი მათ საზრუნავ საქმეს შეადგენს. ბოლოს მათ ისარგებლეს არჩევნებით და ამ ნიადაგზე სოფელი სოფელს დაატაკეს. შოულობენ მომხრეებს და კრებებს შლიან იქ, სადაც კომიტეტებში თავის აგენტების გაყვანას ვერ ახერხებენ. უმრავლესობა სოფლებში გლეხებმა შესძლეს მათი ალაგმა, მაგრამ ზოგგან ისინი ისევ ძველებურათ დათარეშობენ.

მაგალითისთვის ჯერჯერობით ვიკმაროთ კორბოულის საზოგადოება.

ამ სოფელში ძველათვე გაბატონებული იყო ცნობილი რეაქციონერი მექრთამე, ცნობილი სვავი დომენტი მაჭარაშვილი. ის და მისი ახლო ნათესავები, როგორც სასულიერო წოდება, ძუძუსთან ერთათ შეზრდია მექთამხორობას, მთელი ათეული წლები უჭამია ამ ვაჟბატონს, როგორც მწერალს 1400 კომლი მცხოვრებნი, ამ მიზნით იყო, რომ 1905 წ. სასიკვდილოთ გადასდვა თავი და კანცელარიიდან არ გავიდა მიუხედავათ საერთო კრების სურვილისა.

ამაში მას ზურგს უმაგრებდა მაშინ ძალზე დაწყლულებული მთავრობის აპარატები და სამაგიეროთ მასაც იმსახურებდა: ხელი ხელსა ბანსო, ნათქვამია.

დადგა რეაქცია და მისმა ბოროტებამ და მოძრაობის მტრობამ უტიფრობამდე მიაღწია. მაგრამ დაიწყო რევოლიუცია და ისიც, როგორც იყო გამოსცვალეს სხვა მოხელეებთან ერთათ. მაგრამ მას იარაღი არ დაუყრია. თურმე დღე და ღამ არ ეძინა, მომხრეებს ათრობდა და ამზადებდა, რომ რეორგანიზაციის დროს კომიტეტში თავის მომხრენი გაეყვანა და მერე თითონც ისევ კანცელარიაში დაბრუნებულიყო. ხუმრობა ხომ არაა, ეს კანცელარია მას წელიწადში ათასებს აძლევდა. მარტო სალდათობის გაწვევის დროს რამდენიმე ათასი მანეთი ჩაჯიბა. და მანაც საარჩევნო კლაკიორებათ მოამზადა თავის და თავის ძმის ცოლშვილთან ერთათ ყველა ნამამასახლისარი, ნაიასაულარი და ყველა ის, ვინც კანცელარიით ხელს ითბობდა. ამ საქმეში აიყოლია ბიძაშვილი მღვდლები და სოფლის რამდენიმე მასწავლებელიც.

ასეთი რაზმით მან ორჯერ ჩაშალა არჩევნები, როცა ატყობდა, რომ მისთვის სასურველ კაცებს არ აირჩევდენ.

ბოლოს არჩევნები მოხდა, მაგრამ ხალხი კმაყოფილი არ დარჩა, ვინაიდან ყუთის დადგმის უფლება წაართვეს მათ, ვინც უნდოდათ. ამ უკმაყოფილების სალიკვიდაციოთ 4 ივნისს მოწვეული იყო მეოთხე კრება, მაგრამ დომენტი მაჭარაშვილის შავმა რაზმმა შესძლო ამ კრების ჩაშლაც. ხალხმა მხოლოდ ერთი შესძლო, რომ ძველი არჩევნები ძალაში დატოვა. დომენტიმ შეატყო, რომ მისი საქმე მაინც არ გაკეთდა და, იმ იმედით, რომ მთელი დღე მისგან ნატანჯი ხალხი შეცოტავდა საღამო დროს, წამოაყენა თავის კანდიდატურა ისევ სოფლის მწერლათ და როცა შეატყო, რომ მისი მოაზრეები ცოტანი იყვნენ უქნა ბალკონიდან თვალი თავის შავ რაზმს და... აბა ბურთი: მიაწვენ ხალხს ჯოხებით და ასე უნდოდათ გაეყვანათ იქით, საითაც მისი მომხრენი უნდა გასულიყვნენ...

ამ საქმეში დომენტის, თავის ძმა ოქროპირის და მისი ვაჟებ-მასწავლებლების გარდა, კარგათ გაეწრთვნა ყოფილი მამასახლისები ხარშილაძე და ლამბაშიძე. საბწუხაროთ, მას ერთი „ოტპუსკში" მოსული ჯარის კაცი მიემხრო, რომელსაც თავი შეგნებულათ მოჰქონდა. რაზმის წევრები ყველა შეეზახლოშებია წინდაწინვე.

ასე თარეშობენ სოფლათ ძველი წესების ჭირისუფალნი. საჭიროა მ. დ. საბჭოებმა ყურადღება მიაქციონ მათ.

შ. დათიაშვილი.

## ნაციონალისტები სოფლად.*)

(წერილი თიანეთიდან).

ნაციონალისტური პარტიების მოქმედებამ სოფლათ ყოველივე საზღვარს გადააცილა. ძნელია იმის აღწერა თუ რას სჩადიან. ყველა სოფლებში დადიან მათი აგენტები დაავრცელებენ ჭორებს.

ფედერალისტები და ნაც.-დემოკრატები ხელი-ხელ ჩაკიდებულნი სრულ მობილიზაციას ახდენენ თავის ძალებისას, რომ გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადონ მოწინავე დემოკრატიას და ბატონობა ხელში ჩაიგდონ.

გუშინდელი მტერი დღეს ხალხის მოკეთეთ გვევლინება. 1890 წლის ერობის მოტრფიალენმა დღეს სოციალიზმიც დააწერეს თავიანთ დროშას, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამ დროშის ქვეშ რეაქციონური ლაშქარი იყრის თავს.

გუშინდელი თავად-აზნაური დღეს ფედერალისტია, გუშინდელი მაზრის უფროსი და ბოქაული, ღვდელი და ბერი დღეს ნაც.-დემოკრატია, ყველა ის ძალები, რომლებიც რევოლიუციამ გარიყა, დღეს ქართველთა ნაციონალურ პარტიებში თავს იყრიან.

რამ აამოძრავა ეს ცხოვრების მიერ გაკოტრებული ელემენტები საზოგადოებისა?

აქ სხვა აზრი შეუძლებელია,—დამარცხებულნი გამოსავალს ეძებენ, ახალ ქურქით მოწყობილნი, ახალი გზით ბატონობის შენარჩუნებას ლამობენ.

თფილისელ ნაციონალისტების უტაქტო საქციელმა თავისი ნაყოფი გამოიღო, იქ შეცდომა თვით აღიარეს, მაგრამ მათი წარმომადგენლების მოქმედება სოფლათ იმავე ტაქტიკის გაგრძელებაა; დაქსაქსვა სოფლელებისა, დეზორგანიზაცია საერთო მოქმედებაში, ბრძოლა მუშათა საბჭოს წარმომომადგენლებისა და ს. დემოკრატიის წინააღმდეგ.

ვალაპარაკოთ ფაქტები. დუშეთში მუშათა საბჭოს რწმუნებულები დაატყვევეს. თელავში ბ-ნმა ქადაგიძემ ჩაიგდო ხელში თფ. აღმ. კომიტეტის რწმუნებული ¢ კრებაზედაც არ დაუშვეს. ამავე ქადაგიძემ არევ-დარევა შეიტანა მთელ თუშ-ქართველების რაიონში, იმ დროს, როდესაც საჭიროა გაერთიანება, ამ დროს ქადაგიძე აგიტაციას ეწევა—ალვანის თუშები გამოეყოს თავის რაიონს და თელავის რაიონში შევიდნ. თუშების ერთ-ერთ მიტინგზე სოციალდემოკრატები მოღალატეებათ, მოსყიდულებათ გამოაცხადეს და „მიტინგმა", რომელსაც დაესწრო 60-მდე (ვაი სირცხვილო!) მიიღეს დადგენილება აცნობონ პეტროგრადში, რომ თუშების რამოდენიმე „ათასიანმა" (?!) მიტინგმა მოითხოვა ავტონომიაო. ამის მგზავსი მაგალითები ურიცხვია, მაგრამ ამით არ თავდება, ავრცელებენ შემდეგნაირ ჭორებს მათი აგენტები; მუშათა საბჭო სომხებმა შეისყიდეს, ამისთვის საბჭო აგზავნის თავის პროპაგანდისტებს, რომ სომხებს მიეხმარონ და ქართველთა ადგილ მამული ჩაიბარონო. აგრეთვე მიდიან სომხებთან დაეუბნებიან, მუშათა საბჭოს დელეგატები მიტომ დადიან, რომ თქვენ ქართველები წაჰკიდონო. სოფ. მარილისში (მატანი) გლეხებმა გვიამბეს:—ჩვენ გვეუბნებიან აქედან სომხები უნდა გავდენოთო. წოვათუშებში მუშათა წარმომადგენლებს 60 კაცი დახვდა და მათთან მოლაპარაკებით გადაწყდა, რომ 1 მაისიდან 10 მდე შესაძლებელია თუშებში მუშაობა და სთხოვეს წარმომადგენლებს აღნიშნულ დროისათვის იქ მისვლა. გაიგეს რა ახმეტისა და თიანეთის ნაციონალისტებმა ეს იმავე დღეს გაავრცელეს ხმები: მუშათა საბჭოს წარმომადგენლები ალვანიდან გარეკენო. უმატებდენ, რომ მოსყიდული ხალხი არ მიიღენ და ყველგან ასე მოვექცეთო. ადამიანი, რომ ერთი სოფლიდან მეორე სოფელში სხვანაირათ გადაჰქვთ ამბები და ამით უნდათ აამხედრონ ხალხი თავისუფლების მოტრფიალეთა წინააღმდეგ.

პანკისის ხეობაში, როცა ქისტებ-ოსების შესარიგებელი კრება იყო, იქ ქისტებმა გვითხრეს: თუშები ჩვენ წინააღმდეგ მოდიანო. გამოირკვა, რომ თუშებში არის მეტათ საეჭვო სარ ხმები, რომელსაც დღითი დღე ადიდებენ: ქისტები შეიარაღდა, ქისტებმა იარაღი აჰყარეს კაზაკებს, ქისტები თუშების გასაჟლეტათ მოდიანო, თუშების შეიარაღება დღიურ ლოზუნგათ წამოუყენებია. ამ საქმეზე მუშაობენ ალვანის ნაციონალისტები.

ასეთივე ხმები გაუვრცელებია ერთ „საქართველოს" ლიდერს თიანეთშიაც კიდევ. მაგრამ დასახასიათებლათ ესეც კმარა. აქედან ნათელია ყველაფერი, მხოლოდ ამ მოკლე ცნობებით ისინი, ვინც ამ ამბებს არ უყურებს ვერ წარმოიდგენს სისწორით. ხშირია შეხლა-შემოხლა, ხშირია უსიამოვნება, ჩვენ წინ რამოდენიმე შემთხვევა იყო, რომ საქმე კინ ღამ მარცხით დამთავრდა...

აი საით მიდიან ჩვენი სოფლის ნაციონალისტები, აი მათი მოღვაწეობა სოფლათ. აკეთებენ მას, რაც საზარალოა წინმსვლელობისათვის, ირაზმებიან მხოლოდ იმისთვის, რომ მოსპონ მუშათა მოძრაობა, ერთდებიან იმიტომ, რომ ომი აწარმოვონ ს.-დემ-იის გასაქრობათ.

სასაცილოა ის პარტია, რომელიც იმ სოციალურ ძალებს ეყრდნობა, რომელსაც მიმდინარე რევოლიუცია ლიკვიდაციას უკეთებს, მაგრამ მეორე მხრით დასაფიქრებელია, რომ მათი ასეთი „მოღვაწეობა" სახიფათოა მომენტისათვის და ხელს უშლის მას, რაც ძვირფასია საუკუნოებით დატანჯულ-დამონავებულ და დღეს განთავისუფლებულ დემოკრატიისათვის.

დროა დაფიქრდენ!.. თ—ლი მუშა.

*) ეს წერილი დაგვიანებით იბეჭდება. რედ.

## ახალგაზრდა მარქსისტთა საგამომცემლო ორგანიზაცია.

ბეჭდვითი სიტყვა არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა დემოკრატიისათვის, როგორც დღეს. ეხლა ცხოვრება ათასგვარ საჭირბოროტო საკითხებს აყენებს, რომლებიც მოითხოვენ დაუყონებლივ გადაჭრას. მონობის ხუნდების დამსხვრევამ საშუალება მიანიჭა ფართო მასას დაეწაფოს თვითგანვითარებას, გაერკვეს თანამედროვე ამბებში. თავისუფალ, ცოცხალ აზრს დღეს ვერ აღშობს ბარბაროსული ზომები და პოლიტიკურათ განთავისუფლებული დემოკრატია თავს აღწევს სულიერ მონობასაც. ამან გამოიწვია ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნაკების დიდი მოთხოვნილება არა მარტო ქალაქებში, თვით მიყრუებულ სოფლებშიაც კი. მაგრამ წიგნის გამომცემლობისა და გავრცელების საქმე ჩვენში ჯერ კიდევ ვერ არის სასურველათ მოწყობილი, ვერ კმაყოფილდება მოთხოვნილება. ამ მხრით განსაკუთრებულ მდგომარეობაშია კულტურულ ელემენტებს დაშორებული განაპირა ქვეყნები, კერძოთ ამიერ კავკასია. აქ დიდი ნაკლებობაა მარქსისტული ლიტერატურისა. სხვადასხვა ფერის ნაციონალისტები და ქუჩური ლიტერატურის წარმომადგენლები ენერგიულათ ავრცელებენ თავიანთ ლიტერატურას. საჭიროა საკუთარი გამომცემლობის გაფართოება. და აი, სოციალდემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც ყოველთვის ხელმძღვანელობს დემოკრატიას, მოაწყო კიდეც ამიერ კავკასიის ორგანიზაციათა საოლქო კომიტეტთან საგამომცემლო სექცია. მაგრამ ვინ არ იცის, თუ რა აუარებელ სამუშაოს აკისრებს დღევანდელი ამბები ჩვენს ხელმძღვანელებს, ვინ არ იცის, თუ რამდენი ძალა და საშუალებაა საჭირო წიგნების გამოცემა-გავრცელების სასურველათ მოწყობისათვის. და რომ გაეადვილებიათ შრომა უფროს ამხანაგებისათვის, ახალგაზრდა მარქსისტებმა, რომლებსაც შედარებით მეტი თავისუფალი დრო აქვთ, განიზრახეს შეძლებისადაგვარათ დახმარებოდენ ხსენებულ საგამომცემლო სექციას. ამ მიზნით 18 მაისს მოწვეულ იქნა კიდეც დამფუძნებელი კრება, რომელზედაც გადაწყდა ახალგაზრდა მარქსისტთა საგამომცემლო ორგანიზაციის დაარსება. ამ კრებაზედვე არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც მიენდო ინსტრუქციის გამომუშავება და კომიტეტის სექციასთან დამოკიდებულების წარმოება. ორგანიზაცია იყოფა ნაციონალურ სექციებათ. საწევრო გადასახადი 20 კაპეიკია. განზრახულია სხვა ამხანაგებთანაც გააბან კავშირი. ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს რ. ს.-დ. მ. პ. ამიერ კავკასიის ორგანიზაციათა საოლქო კომიტეტთან არსებულ საგამომცემლო სექციის მუშაობას, მის ნივთიერ საშუალებათა გადიდებას, გამოცემულ წიგნაკების გავრცელებას და სხ. ორგანიზაციის წარმომადგენლები იღებენ აგრეთვე მონაწილეობას გამოსაცემ წიგნების განხილვაში და აგრეთვე შეუძლიათ ამხანაგების დავალებით წარუდგინონ სექციას გამოსაცემი მასალა.

ორგანიზაციამ ამ მხრით უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი. 12 ივნისს არტისტიულ საზოგადოების თეატრში იგი მართავს ინტერნაციონალურ საღამოს, რომლის შემოსავალი გადადებულია პარტიული სტამბის შესაძენათ.

როგორც მკითხველი დაინახავს, ორგანიზაციის მიზანი მეტათ სიმპატიურია, და მოუწოდებთ ამხანაგებს ჩაეწერონ წევრებათ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში. ვენე ალათიშვილი.

## კავკასიის ქალაქთა კავშირის დელეგატების ყრილობა.

(7 ივნისის სხდომა).

10 საათ. დანიშნული დილის სხდომა იხსნება დღის პირველ საათზედ. მანამდი კვლავ ხვალისის საქმის გარჩევას უნდება ფრაქციები. ბლოკი თანახმაა, სასჯელის შემსუბუქების, და კომისიას გამოაქვს შემდეგი დადგენილება: გააძევონ ხვალისი მხოლოდ სამი სხდომიდან და აირჩიონ კომისია, რომელიც სიეზდის გათავების შემდეგ დარჩება თფილისში და გამოარკვევს ხვალისის საქციელს, რისთვისაც საჭიროთ სცნობენ მანამდე ხვალისის თბილისში დარჩენას.

ხვალისი განაჩენს არ ეთანხმება და გაუთავებელი თავის მართლებით ცდილობს მოაქანცოს სიეზდი. მოთმინებიდგან გამოსული დელეგატები (ბლოკის) გადაჭრილ წინადადებას იძლევიან, თუ დაუყონებლივ არ გაიხსნება სიეზდის სხდომა, ისინი დასტოვებენ მას.

აცხადებენ გადაწყვეტილებას ხვალისის სამი სხდომიდგან გაძევების და კომისიის არჩევის შესახებ. ხვალისს საერთო კრებაზედ ეძლევა სიტყვა პირად საკითხზედ. ის თავის გრძელი სიტყვით, და ჩვეულებრივი პროვოკაციული სტილით, იწვევს დელეგატების ნაწილ-ნაწილად დარბაზიდგან გასვლას, რომლებიც ქანდარაზე ადიან. კვორუმი იშლება და კრებას დახურულათ აცხადებენ. კრება პირდაპირ „სკანდალის" ხასიათს ღებულობს, ხმაურობას და აღელვებას საზღვარი არა აქვს.

დელეგატები სასოწარკვეთილებაში ჩაცვივდნენ, რომ დღემდის ვერ შესძლეს ხვალისის საქმის ლიკვიდაცია. კრება იხურება ნაშუადღევს 4 საათზედ. საღამოს სხდომა იხსნება ხვალისის დაუსწრებლათ და ის მეტად წესიერათ და მშვიდობიანათ ჩატარდა. გაირჩა რამდენიმე მეორეგი კითხვები და დაიშალა ღამის 12 საათზედ.

(8 ივნისის სხდომა).

კრება გაიხსნა დილის 11 საათზედ. რამდენიმე დარჩენილ კითხვების გარჩევის შემდეგ კავკასიის ქალაქთა კავშირის ყრილობას გათავებულად აცხადებენ და ის იხურება.

გამოსამშვიდობელ სიტყვის წინ თავმჯდომარე ბებურიშვილი მიმართავს კრებას, ექიმ მიასნიკოვის ქალაქთა კავშირში მოღვაწეობაზედ, რომელიც სამწუხაროთ კავშირს სტოვებს და სთხოვს კრებას მადლობა გამოუცხადოს მას. მიასნიკოვს ხანგრძლივი ტაშით აჯილდოვებენ. ის მოკლე და მგრძნობიერი სიტყვით მიმართავს ყრილობას და ათავებს შემდეგი სიტყვებით: „ღმერთი იყოს თქვენი დამხმარე, ღმერთი რევოლიუციის და ღმერთი დემოკრატიის“. (ხანგრძლივი ტაში). ი. გოგოლაშვილი აღნიშნავს იმ მძიმე პირობებს, რომელშიდაც სიეზდს მოუხდა მუშაობა და უსურვებს დელეგატებს გაკეთებული საქმის ადგილობრივ სასურველ ხელმძღვანელობას.

ა. ბებურიშვილი. მე არა ვარ პესიმისტი. ის რაც აქ მოხდა და რის მოწამეც ჩვენ გავხდით, მიზეზი იყო ჩვენი გაუცნობლობის. ჩვენ პირველათ ვიკრიბებით ერთად და ვეჩვევით საქმიანობას. არ ვიზიარებ ზოგი ამხანაგის გულგატეხილობას, რომ, სიეზდი უნაყოფო და უსარგებლო გამოდგა, რადგან, რაც გავაკეთეთ ყველა ის ნაყოფი იყო მოფიქრების და საქმისადმი სიყვარულის. ვიმედოვნებ მეორე ჩვენი ყრილობა უფრო ნაყოფიერი და საქმიანი იქნება. ეხლანდელი ჩვენი ნაკლი მეორე სიეზდის სახელმძღვანელო იქნება და რაც ჩვენ ვერ შევძელით, ის გააკეთებს.

იპოლ. ეხიკაშვილი.

# სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

**ყვირილა.**

კვირას, 4 ივნისს მოხდა ადგილობრივი ს. დ. ორგანიზაციის კრება. თავმჯდომარის და მდივნის არჩევის შემდეგ კრება შეუდგა დღიურ წესრიგის გარჩევას. ილაპარაკა მეტრეველმა მიმდინარე მომენტის შესახებ. კამათის შემდეგ მიიღეს გლეხთა და მუშათა ყრილობის რეზოლიუცია.

შემდეგი კითხვა იყო მუშათა საკითხი. მოხსენება წაიკითხა ამხ. პ. დევიძემ. ამ საკითხს დიდი კამათი არ გამოუწვევია. შემდეგ ნაციონალურ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. გრიგოლ საყვარელიძემ. ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. ბოლოს მიიღეს ნოე ჟორდანიას რეზოლიუცია, რომელიც გლეხთა და მუშათა ყრილობამ მიიღო. მოხსენება წაიკითხეს აგრარულ საკითხზედ ც. მიიღეს მუნიციპალიზაცია.

დასასრულ მომავალ პარტიულ კონფერენციაზე გასაგზავნათ ფარული კენჭის ყრით — არჩეულ იქნენ ამხ. გრიგოლ საყვარელიძე, მელიტონ ფერაძე და ერმალო კალაძე.

საქარელი მ.

**ხონ. ბახვი.**

28 მაისს მოხდა ბახვის რაიონის ს. დ. პარტიის წევრთა კრება. კრება შეეხო საოლქო კომიტეტის მიერ წამოყენებულ საკითხებს და გამოიტანა მათ შესახებ თავისი შეხედულება. ყრილობაზე დასასწრებ დელეგატათ არჩეულ იქნა მ. რამიშვილი.

პროვინციელი.

**ხად. ალხტაფა.**

4 ივნისს შესდგა ალხტაფის რაიონის ს. დ. ორგანიზაციის საზოგადო კრება. დღიური წეს-რიგი იყო: მომენტი და ტაქტიკა, ომი და ზავი, აგრარული საკითხი, მუშათა საკითხი, ნაციონალური საკითხი, დამფუძნებელი კრება და ადგილობრივ აღმასრულებელი კომიტეტი. აღმასრულებელ კომიტეტის 25-ს წევრთა შორის 11 ს. დ. ყოფილა. ამიტომ ორგანიზაცია საჭიროთ სთვლის ყველა წევრები ესწრებოდენ აღ. კომიტ. სხდომებს. საოლქო ყრილობაზე დასასწრებლად არჩეულ იქნა ერთი დელეგატი, ამხ. მ. ბარამიძე.

ალხტაფელი.

**ს. დიდი ჯიხაიში.**

4 მაისს მოხდა ს. დ. პარტიის კრება. დაესწრო 302 წევრი. კრების მიზანი იყო: ს. დ. კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევა და აღნიშნულ კონფერენციაზე გასარჩევ კითხვების გარჩევა. არჩევნები მოხდა ფარული კენჭის ყრით, აირჩიეს 13 კაცი.

ლ. ზემოხეთელი.

**ქ. ქაშქაში.**

რევოლიუციის პირველ დღიდანვე ჩვენც შევუდექით აქაური საქმეების მოწესრიგებას. მართალია ჩვენსა და ფედერალისტებს შორის, რომელთა რიცხვი აქ ძლიერ ცოტაა, თავიდანვე უთანხმოება დაიბადა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ხელმძღვანელობათ ხალხმა სულ ს.-დემოკრატები აირჩიეს: ჩხუბიანი, ილ. ჩხარტიშვილი, ლ. ბალაშვილი, დ. ცრქომაიშვილი და სხვები, რიცხვით ცხრა კაცი. აპრილის უკანასკნელ რიცხვებში გავიგეთ, რომ შემთხვევით აქ ჩამოსულიყო ამხ. ბ. ჩხიკვიშვილი. მოვიწვიეთ ფართო კრება და ვსთხოვეთ ჩხიკვიშვილს დასწრებოდა. კრება დიდი ოვაციით შეხვდა მას. ილაპარაკა ბალაშვილმა ბ. ჩხიკვიშვილმა და სხვებმა. ჩხიკვიშვილი შეეხო დღევანდელ მომენტს და მის მნიშვნელობას. ამ დღეებში კიდევ შემთხვევით ჩამოვიდა აქ ამხ. ექ. ორახელაშვილი და შეუდგა პარტიულ მუშაობას.

22 მაისს მოხდა მუშათა და ჯარისკაცთა კრება. თავმჯდომარეთ აირჩიეს ექ. ორახელაშვილი. კრებაზე აირჩიეს რაიონის წარმომადგენელნი.

ლ. ბალაშვილი.

# რევოლიუცია პროვინციაში

**საყულია.** (ქუთ. მაზრა). 28 მაისს მოხდა საყულიის საზოგადოების მცხოვრებთა კრება—აღმასრულებელი კომიტეტის ასარჩევად. კრებაზე გამოცხადდა 400-მდე მოქალაქე ორთავე სქესისა. თავმჯდომარეთ აირჩიეს პარმენ გერსამია, მდივნათ ილარიონ იაშვილი. ს. დ. ორგანიზაციის წარმომადგენელი აბელ ლომიძე მისალმების შემდეგ აკეთებს მოხსენებას თანამედროვე მომენტის შესახებ. შემდეგ იწყებენ არჩევნებს. აირჩიეს 12 კაცი ყველა ს.-დ. პარმენ გერსამია, ერისტო ციბაძე, მღვ. პლატონ ჯინჭველაშვილი, იოსებ ძიძიაშვილი, კოსტა კაპანაძე, გაბრიელ კაკუშაძე, ლავრენტი ტყეშელაშვილი, გაბრიელ ნაცვლიშვილი, ვასილ სვანიძე, მასწ. ვარლამ კაშია. ვარლამ მეძმარიაშვილი, ნიკო ქეიშვილი.

ვ. მართაშვილი.

**ყვირილა.** შაბათს სამ ივნისს მოხდა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები, დახურული ბარათებით. ერთი კვირის განმავლობაში შეთანხმებებზე ლაპარაკმა პარტიათა შორის ნაყოფი არ მოგვცა. ასარჩევი იყო თერთმეტი კაცი, რომლის რიცხვიდგანაც ნ.-დემოკრატები, ს.-ფედ. და ს. რ.—ბი თხოულობდნენ სამ სამ ადგილს და ამნაირად ს.-დ. ერგებოდა წილში მარტო ორი კაცი. რასაკვირველია ამას ვერ მიიღებდნენ სოც.-დემ. მოწინააღმდეგენი შეეცადენ არჩევნები ჩაეშალათ, მაგრამ ეს ვერ შესძლეს და არჩეულ იქნა ექვსი სოც.-დემ. ორი ს. რ. და სამიც ს. ფ. მოკლე ხანში მოხდება სამაზრო და საგუბერნიო არჩევნები.

საქარელი მ.

**ქ. ერევანი.** 29 მაისს ღამის 8 საათზე იხსნება კრება მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა. თავმჯდომარეობს სადიხოვი. კრებას თხოვს ამხანაგი სურმავა (ს.-დ.), რომ მოიწვიონ ამხანაგ გოგუაძე, რომელიც მოხსენებას აკეთებს 8 საათის სამუშაო დღის შესახებ. კრება დათანხმდა. მალე მუშათა საბჭოს დარბაზში შემოდის ამხანაგი გოგუაძე. მოხსენებას კითხულობს 8 საათის სამუშაო დღის შესახებ. ყველა დიდი სიამოვნებით უსმენს. ცოტა კამათის შემდეგ 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ ასეთი რეზოლიუცია მიიღეს. ხვალვე გამოცხადებული იქმნას ფურცლების საშვალებით 8 ს. სამ. დღე. იმუშაონ პროფესიონალურ კავშირებში და ორგანიზაციებში, რომ რაც შეიძლება მალე გატარდეს ცხოვრებაში 8 ს. სამ. დღე.

ხმა ერევნიდან.

**გამოჩინებულის საზოგადოება.** (ქუთ. მაზრა). 21 მაისს აქ მოიწვიეს ამ საზოგადოების ფართე კრება მიტინგი. უნდა აგვერჩია ახალი სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტი, ნაცვლად 9 მარტს არჩეულ ძველი კომიტეტისა. მიტინგს დაესწრო ორი ათასზე მეტი ქალი და კაცი. დიდათ სასიამოვნოა, რომ დედაკაცები მეტად დაინტერესებული იყვნენ ყველას მონაწილეობა მიეღო თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრაში. ქალების რიცხვი მამაკაცების რიცხვს სჭარბობდა, რადგან საზარელ ომიანობის გამო ყველა ახალგაზრდობა ბრძოლის ველზეა გარეკილი. სამტრედიის რაიონის აღმასრულებელ კომიტეტმა და რაიონულ სოც. დემ. კომიტეტმა თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნეს მიტინგზე ხელმძღვანელებათ. სამტრედიის აღმასრულებელ კომიტეტის წევრმა მიტინგის გახსნისას აუხსნა ხალხს სასოფლო კომიტეტის არჩევნების მნიშვნელობა და ურჩია, რომ წევრებად კომიტეტში აერჩიათ ისეთი პირები, რომლებიც თავისუფლებისათვის მოღვაწეობას არ დაიშურებენ და დიდ რევოლიუციის საქმეებს გააძლიერებდენ.

ასარჩევი იყო კომიტეტის 10 წევრი. კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო 1500-მდე სულმა კაცმა და ქალმა. კომიტეტის წევრათ აირჩიეს სოც. დემოკრატები:—მასწ. იერემია თევზაძე, მინა ჯინჭველიშვილი, მ ხელ ეგნ. თარგამაძე, მელიტონ ქორიძე, ნესტორ გაგუა, კოწია შანიძე, სამსონ ქორიძე, ივანე ლორდქიფანიძე, ეტიფო ლორია და მარკოზ შოცვაძე.

—„თეხე-კაფე“.

# პროვინციის ცხოვრება.

**ხად. ჯუმათი.** ამას წინეთ ჯურუყვეთ-ბაღლეფის მცხოვრებმა ძალადობით გაიტაცა სად. ჯუმათში არსებულ საზ. სამართველოს საწარმოო წიგნები და ყოველივე მოძრავი ნივთები და მოათავსეს თავიანთ სოფელში ერთ პატარა დუქანში და შეუდგა იქ ცალკე თავიანთ სოფლის არჩეულ კაცებით საქმის წარმოება. ამ ამბავს შეიძლო შეტაკება და სისხლის ღვრა მოეხდინა, მაგრამ შეგნებულ პირების შერჩევით ეს არა სასიამოვნო ამბავი თავიდან აცილეს საზოგადოებას.

ეს ამბავი აცნობეს გურიის სამაზრო კომიტეტს. 23 აპრილს გაეწვია სამაზრო კომიტეტის გამოგზავნილი დელეგატი ამხ. ვ. კილაძე, რომელიც შეუდგა ხსენებულ საქმის გამოძიებას და უყმაყოფილო სოფლების მორიგებას, შეერთებას, მაგრამ ამაოთ. ბნელი ძალების მიერ გათიშული საზოგადოების მორიგება შეუძლებელი შეიქნა. რადგანაც 2 სოფელი დაჟინებით მოითხოვდა ჯურუყვეთი და ბაღლეფის ლანჩხუთის რაიონზე შეერთებას და სად. ჯუმათიდან არსებულ სამართველოს გადატანას; მეორე მხარე ებალაური და ყელაის სოფლის მცხოვრებლები მოითხოვდენ მახლობელ სუფსის რაიონზე შეერთებას. რადგანაც შეუძლებელი შეიქნა გათიშული სოფლების მორიგება, დელეგატმა მოითხოვა კომლობითი სია, სადაც გამოირკვა შემდეგი ჯურუყვეთის ბაღლეფის მცხოვრებნი 440 და ებალაურის და ყელაის მცხოვრები 418 კომლი. დელეგატებმა სამაზრო კომიტეტს წარუდგინა კომლობითი სიები და ყოველივე გამოძიებული საქმეები და პირადათაც გააკეთა მოხსენება სამაზრო კომიტეტში და აღნუსხა რა მდგომარეობაშია დღეს ხსენებული გათიშული საზოგადოება, რის შემდეგ სამაზრო კომიტეტმა დაადგინა, რადგანაც ხსენებული სოფლების მორიგება შეუძლებელი შეიქნა, ამიტომ ცალ-ცალკე იქმნას მოწყობილი სამართველოები ესე იგი სად. ჯუმათი, როგორც ცენტრი იქნება ყელა-ებალაურის საზოგადოება, რომელშიაც შედის 418 კომლი ხოლოდ ჯურუყვეთის და ბაღლეფში. საშუალო ადგილზე იქნას მოწყობილი სამართველო, რომელშიაც შედის 440 კომლი. ამ დადგენილობის ხალხში გამოცხადება და ცხოვრებაში გატარება მიენდო ისევ ამხ. ვ. კილაძეს, საქმის გამოსაძიებლათ. ყელა-ებალაურის სოფლის მცხოვრებნი სიხარულით შეხვდნენ სამაზრო კომიტეტის დადგენილებას. მეორე დღეს შეიკრიბა ხალხი და თანხმობით სამაზრო კომიტეტის დადგენილებისა, აირჩიეს ერთხმათ 5 კაცისაგან შემდგარი სასოფლო კომიტეტი: კომისარი, სასოფლო მსაჯულები და სხვა საჭირო მოხელეები, რომელნიც შეუდგნენ მუშაობას.

ტ. პ.

**ს. ახალქალაქი** (გორის მაზრა). თავისუფლებამ აქაც აამოძრავა ხალხი, აქაც აირჩიეს მუშათა საბჭო და საბჭოც შეუდგა საქმის მოწყობას. მაგრამ სამწუხაროთ საბჭოში ზოგი წევრი არა სასურველი იქნა არჩეული, ღვინის სმა ლოთობა აკრძალულია, მაგრამ თვით საბჭოს წევრები ითვრებიან დუქნებში. 18 აპრილს საბჭ. ორმა წევრმა დაიჭირა რამოდენიმე კაცი ღვინის სმისთვის და დააჯარიმა 50 მანეთით. აღმოჩნდა, რომ ვინც ეს ხალხი დაიჭირა, ისინიც მთვრალები იყვნენ. ლოთობა თუ კერძო პირთათვის აკრძალულია, მით უმეტეს უნდა იყვეს აკრძალული საბჭ. წევრებისთვის.

ბაგრატ დანდუროვი.

**ს. ჭანიეთ-მონასტერი** (გურია). ყოველ კულტურულ დაწესებულებას მოკლებულმა ჩვენმა სოფელმა ამ ბოლო დროს ძლივს გამოახილა თვალი. დაარსეს ჯერ მომხმარებელი დუქანი „განახლება“, რომლისთვის საკუთარი შენობაც შეიძინეს. ხუთშაბათს 2 ივნისს შესდგა ამ ჩვენი მომხმარებელი საზ. „განახლების“ წევრთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 100-მდე წევრი. კრებას უნდა აერჩია გამგეობის წევრები და მისი კანდიდატის არჩევა, სარევიზიო კომისიის წევრები, ნოქარი და სხვა. დიდი ხმის უმეტესობით გამგეობაში აირჩიეს შემდეგი პირები: კოწია ქიშვარდის ძე თოიძე, ვ. გ. გუშალიაშვილი და გ. გ. ქვაჭაძე. მათ კანდიდატებათ: ი. ე. ხაფთასი, კ. რ. პაპავა და თ. ფ. მიქატაძე. სარევიზიო კომისიის წევრებათ დ. ბ. ბახტაძე, კ. მ. კვაჭანტირაძე და ა. ბ. აროშიძე. ნოქრათ ერთხმათ აირჩიეს ა. ტ. ტულუში. შესახებ სესხისა, კრება უფლებას აძლევს გამგეობას, ისესხოს არა უმეტეს, 8000 მან.

ა. ჭანიეთურელი.

# წერილები რედაქციის მიმართ.

მადლობას უცხადებთ ნაძალადევის მოქალაქეთ ვასილ და მის მეუღლე—გიორგობიანისას, რომელთაც შემოსწირეს რაიონულ კომიტეტთან არსებულ კულტურულ განმანათლებელ კომისიას 30 მ. პელაგია წილოსანის ასულს ამაშუკელისას ათი მანეთის შემოწირვისთვის გარდაცვალებულ პავლე ლუკას ძე ამაშუკელის სახსოვრათ.

თავმჯდომარე გ. ხადალაშვილი.

მადლობას უცხადებთ ყველა იმათ, ვინც ნივთიერი დახმარება აღმოუჩინა სოფელ ვანის (გურია) ორ კლასიან სასწავლებელს.

ვანის სკოლის პედაგოგიური საბჭო.

მადლობას უცხადებთ ყველა იმათ, ვინც თავისი წვლილი არ დაიშურა ძირულის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოსთვის და შეაგროვეს 25 მ. წიგნების შესაძენათ გარდაცვლილ მოწყვე მართ დ. ემანოიძის ასულის მოსაგონებლათ.

სამკითხველოს თავმჯდომარე დ. ახრახაძე.

ს. მეორე ეწერის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს შემდეგმა პირებმა აღმოუჩინეს დახმარება: ე. გ. გამოუწერა თავის ხარჯით ხუთი გაზეთი. დაუქირავა კაცი, რომელიც ფოსტიდან მოიტანს გაზეთებს. უყიდა სახლი სამკითხველოს. პრაპორჩიკ ნიკოლოზ გუგუშვილმა შემოსწირა 50 მ. ივანე პროსტიერლდემ 25 მ. და წარსული წლის ჟურნალები: „ოგონეკ“, „ვეს მირ.“, „პანორამა“ და ოთხი დიდი სურათი ევროპის რუსეთისა. ელენე ელიზბარის ასულმა გვიჩუქა სამკითხველოს გამოუწერა „ხმა ქართველი ქალისა“ და „ეშმაკის მათრახი“. ყველა ზემოაღნიშნულ პირთ სამკითხველოს გამგეობა უცხადებს მადლობას,

გამგეობის მონდობილობით თავმჯდომარე მღვდელი გიორგი გუგუშვილი.

**ცხინვალი.** მეტად დაბრკოლებების და დიდი მეცადინეობის შემდეგ ცხინვალის ებრაელთა ახალგაზრდობამ მოახერხა უფასო სახალხო სამკითხველოს მოწყობა. სამკითხველოში საკმაოთ მოიპოვება წიგნები და ჟურნალ გაზეთები ებრაული, რუსული და ქართული. სამკითხველოს გამგეობა მოვალეთ სთვლის თავის თავს ულრმესი მადლობა გამოუცხადოს ყველა იმ პირთ, რომელთაც ხელი შეუწყეს ფულით თუ სხვა საგნებით სამკითხველოს გახსნას და მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადეს.

გამგეობის თავმჯდომარე ნ. ელიაშვილი.

**ს. იანეთი.** მოქალაქემ ალექსანდრე ილ. კოხრეიძემ განსვენებულ მისი მამის ილარიონ ბესარიონისძე კოხრეიძის ხსოვნის აღსანიშნავად, ქელეხის ნაცვლათ შემოსწირა იანეთის სკოლას 50 მან. რისთვისაც ულრმეს მადლობას უცხადებთ.

სკოლის მზრუნველი იოსებ კოხრეიძე.

ულრმეს მადლობას უცხადებთ იმ პირებთ, რომლებმაც ჯვარცხმის უფასო სამკითხველოს შემწეობა აღმოუჩინეს.

სამკითხველოს გამგის თავმჯდომარე კაპიტონ ჩხიკვაძე.

მადლობას უცხადებ რკინის გზის მეექვსე უბნის მოსამსახურეთ, რომლებმაც შემოსწირეს ჯურუყვეთის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს გარდაცვალებულის მოსე სევას. კვაჭაძის სახსოვრად 10 მანეთი.

სამკითხველოს გამგეთაგანი მღვდელი ანდრია კვაჭაძე.

თფილისის სასულიერო სემინარიის პირველი კლასის მოწაფეებმა, შემოსწირეს წალენჯიხის წიგნთ საცავ სამკითხველოს 47 წიგნი, ღირებული 30 მან. თავისი ამხანაგის გრიგოლ თვალთვაძის ხსოვნის აღსანიშნავად, რისთვისაც მადლობას უძღვნით მათ.

წალენჯიხის სამკითხველოს მდივანი: ა. ზუხუბაია.

მადლობას უცხადებთ ბიქტორ გაბრიელას ძე მენაბდეს, რომელმაც შემოსწირა ბოხვაურის სამკითხველოს 87 მანეთი, როგორც თავისი, ისე შეგროვილი ამხანაგებში.

გამგეობის წევრი მასწ. ბარნაბა მენაბდე.

**ბახვი.** ბიბლიოთეკა სამკითხველოს გამგეობამ მიიღო: სამსონ მღინარაძისაგან ქ. ტრაპიზონში შეგროვილი 177 მან. და 50 კ. დიმიტრი ბოლქვაძისაგან ქ. სოხუმში შეგროვილი 114 მან. და ივანე ბოლქვაძისაგან 20 მან. ყველა ამათ და შემომწირველთ მადლობას უცხადებს სამკითხველოს გამგეობა.

მიხ. რამიშვილი.

ულრმეს მადლობას უცხადებთ დედას და ძმებს დიომიდე ტულუშისას, რომლებმაც კეთილ ინებეს და შუხუთის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს შემოსწირეს 50 მან. ხსენებულ დიომიდე ტულუშის ხსოვნის აღსანიშნავად.

ულრმეს მადლობას უცხადებთ აგრეთვე პოზიციაზე მყოფ პრაპორშიკთ ნიკოლოზ დიმიტრის ძე და ივანე ასალოს ძე ორაგველიძეებს, რომლებმაც სამ-სამი თვით გაზეთი „ერთობა“ გამოუწერეს ჩვენს სამკითხველოს.

გამგეობა შუხუთის სამკითხველოსი.

მადლობას უცხადებთ ყველა იმათ, ვინც ზედა შუხუთის უფასო წიგნსაცავ სამკითხველოს სასარგებლოთ 28 მაის დადგეს წარმოდგენა და შემოსავალი 114 მან. 24 კაპ. შუხ. სოც. დემ. ბიუროს (15 მან.) და ზემოხსენებულ სამკითხველოს (99 მან. და 24 კ.).

გამგეობის მონდობილობით მასწ. მოსე ჩხაიძე.

ულრმეს მადლობას უცხადებ სიმონ ლევანის ძე ხაინდრავას, რომელმაც ლეხაინდრავის უფასო წიგნ-საცავ სამკითხველოს შემოსწირა ასი (100) მანეთი.

ნესტორ ბართაია.

ჩვენ მივიღეთ ქ. [illegible]ინიდან ჯარისკაცის დათიკო ამტონის ძე ფირცხალაიშვილიდგან 45 მ. 60 კ. შეკრებილი მისგან სხვა და სხვა პირთაგან. გულწრფელ მადლობას ვუძღვნით როგორც დათიკოს აგრეთვე შემომწირველთ.

ქვიანის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს გამგეობის წევრი არტემ ხალვაში.

მადლობას უცხადებთ მოქალაქეთ ფ. ფრანგიშვილს ს. გულედავას ი. გაგუას და გ. შენგელიას, რომლებმაც შეაგროვეს შემოწირულებანი 100 მან. ჩვენი ღარიბ სოფლის ჰაგნის მეორე [illegible] სამკითხველოსათვის.

აგრეთვე მადლობას უცხადებთ მოქალაქეს ანდრია ნესტორის ძე გოცირიძეს, რომელმაც ნაცნობ მეგობრებ მოქალაქეთა შორის შეაგროვა შემოწირულებანი სულ 39 მ. და 50 კ. მადლობა აგრეთვე ვიაჩესლავ ბეჟანის ძეს და კონსტანტინე ლ. შენგელიებს, რომლებმაც გამოუწერა სამკითხველოს გაზეთები.

სამკითხველოს გამგეობის მონდობილებით ა. ნ. შენგელია.

# ცნობები

## ჯარის კაცების შესახებ.

ჯარის კაცი ისიდორე გრიგორის ძე სიმონიშვილი მსახურებდა კავკასიის მომქმედ ჯარში მე-27 კავკასიის მსროლელთა პოლკში მე-13 როტაში მეორე ზვოდში. კარგი ხანია მის შესახებ არაფერი ვიცით. ვსთხოვთ ყველას თუ ვინმემ რაიმე იცის გვაცნობეთ ოზურგეთში, ვაჭარ ანდრია ამბაკოს ძე ლლონტს გადასაცემათ დვაბზუში ელენე სიმონიშვილს.

— ჯარის კაცი ერმალაი სიმონის ძე ხინთიბიძე ძლიერ ავათ გახდა და მოათავსეს მე-528 полевой подвижный госпиталь-ში სოფ. ჟიმითის, ოზურგეთის მაზრის მცხოვრები. ვსთხოვთ ყველა იმ პირთ ვინც მსახურებს იმ გოსპიტალში, გვაცნობოს თუ რამე იციან მის შესახებ. მისამართი: Ст. Поти вокзалъ Мелитону Хинтибидзе.

— ჯარის კაცი დიმიტრე მასიკოს ძე ხომერიკი მსახურებდა ბაქოში 4-ე მესაზღვრე პოლკის მე 6 ე როტაში, მე-3-ე ზვოდში. უმორჩილესათ ვსთხოვთ ყველა ამხანაგებს თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ გვაცნობონ ქართულ მსრ. პოლკის მეროვე როტაში პორ. გორგოშიძეს.

# ჩვენი ფოსტა.

**აქტაფის ს. დ. კოლექტივს.** თქვენი განცხადება გვიან მივიღეთ.

**ზედა შუხუთი. რუდინს.** გზავნეთ კორესპონდენციები.

**ვიქტორ ლლონტს.** ახალი კლუბის წესდება ვერსად ვიშოვეთ, თუ ვიშოვნეთ გამოგიგზავნით.

რედ.-გამომცემელი ვლ. გ. გოხოხაძე.

**ექიმი გ. გ. მუხაძე**
იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: ლილი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] შენობის [illegible] ტელეფონი № 5—77.

**ექიმი მ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**გ. ზ. მეგრაბიანი**
შინაგან ავათმყოფობა შლექისა და გულის. იღებს ახალ რენდგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყოველნაირ შლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: [illegible] ავადმყოფებისათვის, გულისთვის, [illegible] სისხლ ნაკლებობის, ქოლოობის, ნევრალგიისათვის. [illegible] ყოველ დღე 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: [illegible] ქუჩა № 35. [illegible] 7—9.

**ექიმი კ. ი. ზვარჯალაძე**
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

**ქუთაისი**
**ექიმ ბ. ი. გოკიელის**
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

**ქ. ქუთაისში.**
**ექიმი მ. ი. ჩხენკელი**
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვნის ქ., ბაქრაძის სახლი.

[illegible]
**„[illegible]“-ში**
**იყიდება** [illegible] ქართული წიგნები, რომლებიც გაეგზავნება მსურველთ ფულის გამოგზავნისთანავე.
[illegible] აგრეთვე ყველა [illegible] „ერთობა“, „ბორბა“, „კავკ. რაბოჩი“, „ეშმაკის მათრახი“, [illegible] „ბაიქარი“, და ყველა ახლად გამოსული წიგნები.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.